

310363
102

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბავშვო
საზოგადოებრივი

საქართველო



147

შ ი ნ ა რ ს ი

უწინაღ ჯეჯილისა

I რაღა გვეწველება! სურათი	2
II * * ლექსი, შიშ მღვაჟეჟისა	3
III ახალ წლის ქადები, ს. ქეღბაქიანისა	5
IV ორი ძმა. ზღაპარი, ად. ნათაძისა	12
V უცნაური მეგობარი (ბიკოვიდან) მანანისა	18
VI ლეოს მოგონება, ლექსი გელასი	21
VII შავი მგელი. იაპონური ზღაპარი—ვანო სანათაშვილისა.	27
VIII ნინო და ქეთინო, ლექსი—გიორგი სულარძისა.	28
IX ბებია-კატო (ქუთათურ სამოქალაქო ქალთა სკოლე- ბის მუწაფეებს)—გვ. გაბაშვილისა	30
X წვრილნი—გამოცანა, ზმა, ანაგრამა, შარადა და სხვა.	33
<hr/>	
XI სურათი. ლექსი ვ. გორგაძისა	35
XII რკინის გზის ლიანდაგი (ფრანგულიდან)—გვ. მესხისა.	36
XIII პირველ ყოფილი ადამიანის და ეხლანდელი ვე- ლურების ყოფა-ცხოვრება, ლუნკევიჩისა (გადმოკე- თებული) იტა ნაკაშიძისა	46
XIV მტკვრის სათავე, ქოროხი და თამარ მეფე, მგზავ- რის დღიურიდან—ივ. ალხაზაშვილისა.	54
XV ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა- ედისონი). შემდეგ იქნება	60

ჯეჯილის 1913 წლის ხელის მომწერლებს

საჩუქრათ დაურიგდებათ

დასურათებული წიგნი.

ჩვენი მემკვიდრეები



საუბაწვილო ნახატებიანი
ქუჩნალი

იხარდე მწიგნუგნი ჯმბილოთუგნი
დაპური, ნიდი ყანალი..
ი. ღ.

იანვარი, 1913



◆ წელიწადი მეოცდაათზე ◆



თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეკდავი „ზრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1913



წაღა გვეშეულებს!



* * *

147.



კატა ჩხაოდა, კნაოდა,
 მიკიოტივით კიოდა,
 ძირიდან ეზოს მოძვლელი
 ხმა-მაღლა შემოძვიოდა,
 მეგონა ერთიც, მეორეც
 ჩემს ჭირ ვარამსე ჩიოდა.
 მეტეველს უნდოდა ფარები,
 ჰირუტევეს კი, თურმე, ჭშიოდა...
 სახლშიც ჩემს ჰაწა გოგონას
 ცრემლები გადმოსდიოდა;

ცალკე მუცელი ეწოდა,
 ცალკე ძალსედა სციოდა...

მეც ისე როგორც დაჭრილი
 გამწარებული ვლმუოდი,
 როგორც ჩანჩქერი უფსკრულში
 იმ რიგად ჩამოვსუოდი,
 სიბრახით გაწითლებული
 ნაკვერჩხალივით ვლუოდი,
 ვერ გაძეკვლია ჩემ თავად
 თუ ვისთან უფრო ვსტეუოდი?!

უფრო მეტს ვიტევი, თუ გნებავთ,
 დაბმულ ძალივით ვდრინავდი,

ხან აშკებული ლომივით
 კლდიდან კლდეზედა ვუწინავდი,
 რკინას ნაფოტათ ვაქცევდი
 და ნაფოტს კიდევ ვრკინავდი...
 აი დალასწროს ეშმაკმა,
 თურმე, ძილშია ვკმინავდი!..

შ. მღვიმელი.



ახალი წლის ქაღები.



ახალი წელიწადი, ახალი წელიწადი“ შესძახეს ერთხმათ მარინე ქვრივის ბავშვებმა, რომელნიც ჩვეულებრივზე ადრე გამოაღვიძა სოფელში ატეხილმა თოფების სროლამ. ამით შეატეობინეს ერთმანეთს სოფელეებმა ამ დიდებული დღის გათენება. შეიქნა ერთი ალიაქოთი სოფელში. გათენებამ ეველა გაახარა. ეველასთვის ერთხანით დიდებული იყო ეს დღე. ამ დღიდან ცხოვრება უნდა განსაზღვრულიყო, ეველაფერს ახალი ელფერი უნდა მიესცემოდა. ძველი კი —ძველი წლისათვის ჩაებარებინათ.

ამიტომ ასე ალიონითვე შეუდგა მსიარულებას მთელი სოფელი. დღეს ეველას გული არა ჩვეულებრივი სინარულით იყო აღფრთოვანებული.

არა ნაკლებ გაახარა ამ დღემ მარინე და მისი შვილები. სწრაფათ წამოხტა კოლა ფეხზე, სწრაფათვე ჩაიძვრა ტანს და მიირბინა ბუსართან, რომელშია უკვე გაეჩაღებინა მარინეს ცეცხლი. მარინეს დაკავებია ხელში წინა დღით მომსადებული „კუკური“,*)

*) თხილის შტაებს ეძახიან, რომელსაც ამ დღისთვის მოიტანენ სოფელ ტუიდან. კარდა ამისა რაჭაში იციან კიდევ ამ დღისთვის „ჭეორი“, (მცენარეა, რომელიც სამთარ-საფხულ ჭევიანის).

უღისინებდა ცეცხლს, რომელიც უხვად ისროდა ნაპერწკლებს და თან ჩასძახოდა: „ამდენი ძროხა, ამდენი ხარი, ამდენი ღორი, ცხვარი, ბატყი, ქათამი და ყოველივე სინარული“, მიაყოლა მარინემ რაც კი გაახსენდა.

— დედილო, ცხენი დაგავიწედა, ცხენი,— მიაძახა კოლამ დედას, როცა ის იყო მარინემ ხელი უშვა.

— აბა რად გვინდა, შვილო, ცხენი, ნეტა რაცა კსთქვი იმას გვიწეალობებდეს ღმერთი,— სთქვა მარინემ.

მაგრამ კოლამ მანც ვერ მოითმინა და ახლა თითონ დაიწყო, მხოლოდ დედასავით ცხენი კი არ გამოსტოვა და ყველაზე პირველათ სთქვა: „ამდენი ცხენიო“, თითქოს ის იყო მოძავალ წელში ასი ცხენი მანც შეემინებოდა. საწუალ კოლას გული ნაღველით ეგსებოდა, როცა გაიხსენებდა რომ მის ამხანაგის მისას მამას მშვენიერი „ლაფშა“ ჰყავდა, რომელითაც ის აძაუბდა ტოლებში. ამიტომ იყო, რომ ასე უნდოდა ცხენი კოლას. კოლას გარს შემოეხვიენ მისი ზატარა დაძმა: ვანო და კატო და სინარულით შეჭურვებდენ ძმის საქციელს. მათაც უნდოდათ იგივე გაემეორებიათ, მაგრამ მარინემ აღარ აცალა, წაიღო „კუკური“ და კარებების ბჭეში მიამაგრა.— აქ უნდა იყოს მეორე ახალწლამდის, — მაშინ კი ისევ უნდა გამოეცვალოთ და ახალი გავაკეთოთ, — უთხრა შვილებს მარინემ.

ბავშვების სინარულს სამხდვარი არ ჰქონდა. მოუთმენლად ელოდენ ამ დიდებულ დღეს თავის ტო-

ლებთან განავარდობას: ხტოდენ, იცინოდენ, ცელქობდენ...

— ჭა, შვილო, ჭა — გაუწოდა მარინემ კოლას თაფლში ამოვლებული ვერცხლის აბაზიანი, — ზირში გამოივლე, შვილო, ზირში.

თაფლიც და აბაზიანიც გუშინვე გამოართვა მარინემ ახლო მესობელს ფიდუას, რომელიც უოველთვის ესმარებოდა ქვრივს და გაჭირვებულს. მაგრამ მარინე არავისას შეიწვედა რამეს. თუძცა ქვრივი და ობლების ჰატრონი იყო, მაგრამ საქმე მარჯვეთ და კარგათ მიჭუავდა. თავის მხრით ორი წუკილი ახლად მოქსოვილი წინდა მიართვა მარინემ ფიდუას, ვითომდა საახალწლო საჩუქარი, ამ საჩუქარმა ძრეულ განახარა ფიდუას ცოლი, სალოძე. ეკვლა მესობლებთან ასე ზირნათლათ გამოდიოდა მარინე და არც ვინმე მოძდურავი ჭუავდა. თაფლიც და აბაზიანიც მარინეს მისთვის დასჭირდა, რომ სოფელში ჩუკულებათ იყო და სწამდათ კიდევაც, რომ ვინც ახალწელიწადს თაფლში ამოვლებულ ოქროს ან ვერცხლის ფულს გამოივლებს ზირში, ვითომ მთელს წელს მხიარულათ ვაატარებსო. ოქროსი კი რა მოგახსენოთ, ძარინეს კი არა, უფრო ხელ-გამართულებსაც არ ემოვებოდათ და ვერცხლის ფულს კი ვერ დაიკლებდა მარინე ამ დღისთვის და აკი იზოუნა კიდევ.

მარინემ სათითაოთ გამოავლო ბავშვებს თაფლით განსვრილი ვერცხლის აბაზიანი და შეუდგა საახალწლო მზადებას. უბრალო დღე სომ არ იყო და მარინე

ნემ ამისთანა დღეებში ძანც იცოდა თავის ობლების ქალებით გამსწინძვლებს.

— კოკოლს სომ გამოძისობ, დედა? — შეეკითხა დედას ვანო.

— კი, შვილო, კი, დღეს დიდი დღეა, შვილო, ღმერთმა დიდი დღე მახუქოს ჩემი ობლებისთვის, ერთი დაუტრიალდე! ისეთი ქალები კი ჩავაცნო, რომ სჭამდე, სძას არ იღებდენ, გაეხუმრა მარინე თავის ბიჭიკოს.

— ხა, ხა, ხა, ხა, — ასარსარდენ ბავშვები დედის სიტყვებზე, და ხან ერთი იძეორებდა, ხან მეორე სიცილ-კასკასით. მარინე დარწმუნებული იყო, რომ თუ ახალ წელიწად-დღეს მხიარულათ გაატარებდა თავის ბავშვებით, ეს მხიარულება „დაეკვებებოდა და მთელ წელს გასტანდა. ამიტომ იყო მარინე დღეს ასე მხიარულათ. სიმართლე რომ ვსთქვათ, არც არაფერი ჭქონდა მას სამწუხარო. მარჯვკი იყო მარინე და არც ღმერთი ივიწუებდა მას.

ახალწლის შემოლოცვას — ჰატარებს ბლომათ მოუვიდათ საჩუქრები ნათლია-მეზობლებიდან: ჩურჩხკლა, გოზინაყი, წითელ-წითელი თურაძაული ვაძლები. კოლას ქალაქიდან მოსულმა ნათლიამ კაი „მესტუბი“ და ბლუსა-შარვალიც კი მოუტანა. არც ვანო და კატო დარჩენ ხელ-ცარიელნი. იმათ უფრო ადრეც მიიღეს საჩუქრები: ვანოს, ნათლიას ნახუქარი ბლუსა-შარვალი, მხოლოდ შობა დღეს ეცვა და მას აქვთ გაფხვრებით მოელოდა ახალწელიწადს, რომ კვლავ ახალწელიწადს ახლებში გამოწუობილიყო. კატო რომ

ბიძასთან იყო, განა ხელ-ცარიელი წამოვიდოდა. თავით-ფესამდი ახლით შემოსა ბიძიამ და ისე გამოსტუმრა. ამ ნაირად ვუკლავით კმაყოფილი შეეგება ქვრივი მარინე ახალ-წელიწადს.

როცა წვრილმანებს მოჩნა მარინე, ახლა სადილის მზადებას შეუდგა. მას ამ დღისთვის თეთრი ფქვილიც კი ჰქონდა შენახული. დიდი ცეცხლი გააჩნდა და შეუდგა სამზადისს. კარგათ მოკრიბლებულ საცხობ გობზე მან დაუბრა თეთრი ფქვილი მოსახელათ. მარინეს გაახსენდა, რომ საფუარი ბუდეში დარჩა და წავიდა მოსატანათ. გობი თეთრი ფქვილით ბავშვების ანაბარად დასტოვა. მაგრამ ცელქებს რა იმისი სცხელოდათ. სადღა გაახსენდათ მათ დედის დანაბარები, როდესაც ქუჩიდან მოესმათ უმაწვილების ყივილ-ხივილი. ამ ხმაურობამ გაიტაცა ისინი გარეთ, სადაც დაუხვდათ თავმოყრილი თავის ტოლები და თავ-დავიწეებით ჩაებნენ მათ ფერხულში. ახალ-წელიწადთან ერთად ახლად მოსულს თოვლს ხაერთო მხიარულება გამოეწვია მათში. „წავიდა ძველი წელიწადი, მოვიდა ახალი წელიწადი“, გაიძახოდა ხან ერთი, ხან მეორე და უშენდენ ერთმანეთს თოვლის გუნდებს.

ბელლიდან დაბრუნებულ მარინეს საშინელი სახანაობა დასვდა სახლში. საფუარი კი მოიტანა, მაგრამ თეთრი ფქვილი აღარ დასვდა. სულ მთლათ მიებნიათ ქათმებს. დაღონებულმა მარინემ ერთ-სანს უცქირა ამ სახანაობას, მაგრამ ძალე გაამოერკვა და შეუდგა ბავშვების ძებნას. ამ დროს ბა-

ვშვები შეძვიდენ ესოში და წინ შეეფეთნენ დედას. მარინე ვერ გაუწერებოდა მათ ახალ-წელიწად დღეს და ისევ მოთმენა ამჯობინა, თუძცა კი გულში ნალვლობდა. არა ნაკლებ დადონდენ ბავშვები, როცა მათ თავის თვალთ ნახეს თავიანთი დანაშაული. მარინე კიდევაც ანუგეშებდა მათ.

— რა უფოთ, შვილო, ეველაფერი ღვთის ნებაა — იძახოდა.

თეთრი ფქვილი რომ აღარ იყო მეტი, მარინემ ისევ დიკის ფქვილი მოხილა და შეუდგა ცხობას. ქაღები შავი გამოცხვებოდა, მაგრამ რას გააწუბოდა! „ბასილა“ ჩააცხო მარინემ, ააჭრელა და კეცსა და კეცს შუა ჩასვა. სადილობაც მოახლოვდა.

მაკვლიერი მარინემ არ მოიწვია ამ დღისთვის. „თავისით თუ ვინმე მოვა მაკვლიერიც ის იქნება, ისე კი ნამდვილი მაკვლიერი ღმერთი არისო“ ამბობდა მარინე.

ბავშვები აღარ წასულან მეორეთ სათამაშოთ. შემოსხდომოდენ კერას და ადევნებდენ თვალს დედის მოქმედებას. მოუთმენლათ ელოდენ ცელქები „ბასილის“ კეციდან ამოღებას. აკერ მარინემ თან-და-თან ამოალაგა კეცებიდან შავი ქაღები და ჯერი ბასილაზე მიდგა.

— წელს კაი მოსავალი იქნება, — ჩაილაპარაკა მარინემ, როცა ნახა რომ კეცებს შუა აჭრელებული ჰური ჰანტასავით გაშლილიყო. ბავშვებს ღიმი გადაეკრათ პირზე.

— წადი, შვილო კოლა, და სუფრა მოიტანე, აწი


სადილის დროც არის, — მიუბრუნდა მარინე კოლას, როცა ვეკლაფერს მოჩნა. კოხტათ გააწეო მარინემ სუფრა, ლამაზათ დააღაგა საჭმელები და ვეკლანი მოუსხდენ გარს.

— თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო, — თქვა მარინემ, როცა ერთი ქადა აიღო ხელში და მსიარულათ გადახედა თავის მოწეწილ შვილებს.

დედის სიტყვებმა კვლავ გაახარა ბავშვები. ვეკლას დიმი მოერია ჰირზე. ისევ დაუბრუნდათ დაკარგული მსიარულება.

„თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმება“ — იმეორებდენ ისინი და მსიარულათ შეექცეოდნენ საახალწლო სადილს!!.

ს. ქელბაქიანი



ორი ძმა

(ზოპარი*)).



ოფელში ცხოვრობდა ერთი ღრმით ძო-
ხუცებუი კაცი; ამასა ჰქვავდა ორი ვა-
ჟი შვილი. სიკვდილის ზირზე რომ იყო
მიმდგარი, ბერი-კაცმა მოიხმო ორივე ვაჟი, დალო-
ცა, აკოცა და უკანასკნელათ ეს უთხრა: „შვილებო,
მე თუძცა ვერცხლსა და ოქროს ვერ გიტოვებთ, მაგ-
რამ ისეთს კარგს მოამაგე მამულს ვტოვებ თქვენ-
თვის, რომ ამის შემოსავალი, თუ კი გაიზჯებით,
თქვენც გეყოფათ, თქვენს შვილებსაც და შვილი-შვი-
ლებისთვისაც თავსაურელი იქნებაო; გიუვარდეთ ერთ-
მანერთი, ჭირში და ლხინში გრთმანერთის ბოძი იყა-
ვით, ნუ გაიურებით, ნურაფერს გაჭედიდით, ნურაფერს
დააგირავებთ და ღმერთი კეთილს მოგცემთო. სთქვა
ეს, უკანასკნელათ კიდევ აკოცა და განუტევა თავისი
კეთილი სული. მის გვამს ნათელი დაადგა.

ამის შემდეგ ორივე ძმამ ერთათ დაიწყო ცხოვ-
რება: უფროსი ძმა დადიოდა მინდორში, სნავდა, სთუ-
სავდა, ტეხსაც უვლიდა, ალამასებდა, თავს ევლებო-

*) რომ შეგდომასი არ შევიყვანო ჩვენი სახალხო სიტყვიერე-
ბის მოტრფიალენი, ვაცხადებ, რომ ეს ზღაპარი—სახალხო არ არის.
ალექ. ნათაძე.

და... უძცროსი კი სახლში რჩებოდა: ჩაიცომა, დაი-
ხურავდა უფროსი ძმის ნაამაგებით, დაიჭურდა ხელ-
ში ჯოს და ხან აქეთ გაუტეკდა და ხან იქით... და-
ქანცული, დაღალული მოვიდოდა სახლში, უფროს
ძმას არც კი ინახულებდა, ჩაგორდებოდა ლოგინში
და მეორე დღის სამხრობამდის ეძინა ხოლმე... ერთ-
ხელ, ერთს კვირა დღეს უძცროსმა მოუხმო თავის
უფროს ძმას და ასე დაუწყო ლაპარაკი: „ძმაო! მე
ასეთი ცხოვრება არ შემიძლიან: თავისუფლება მინ-
და, წასვლა-მოსვლა, ჩაქმა-დახურვა, ცოლის შერთვა
და უსრუნველი ცხოვრება... ძამული გავიყოთ, შენ
შენთვის იცხოვრე და მე ჩემთვის ვიქნებიო“. დაღონ-
და და დაძმარდა უფროსი ძმა: მესობლებისა სცხვე-
ნოდა, ძამის ანდერძის დარღვევაზე გული ეთანადრე-
ბოდა, ძმის მოძორებას უწელურებდა გულს, მაგრამ
მეტი ხარა არ იყო, გაჯიუტებულ უძცროს ძმას ვერ
შეაუენებდა და სოფლის კაცების მუხამაგლობით გაი-
ყარნენ ძმები. უფროსმა ძმამ მამა-პაპის ნაამაგევი
სახლ-კარიც კი დაუტოვა უძცროსს, თვითონ წავიდა
სხვა სოფელში, მოძორებით, რის ვაი-ნაჩრობით აი-
შენა სახლი, შეირთო ცოლი და შეუდგა მხეთ მუ-
შაობას.

უძცროსმა ძმამაც შეირთო ცოლი, ისეთივე ხელ-
უყრელი, როგორც თვითონ. გაუიდა ნახევარი თავი-
ნი ძამული, აიღო ფული და სთქვა: „მოძხედა ღმერ-
თმა, ფული ბევრი მაქვს, ლამაზი ცოლი მეავს, ლა-
მაზი ს სლი მიდგია, ღამაზათ ვიცომ და ვისურავ,
ღამაზათა ვჭამ და ვსვამ და მეტი რაღა მინდაო...“

დმერთი რომ მისცემს კაცს, ორივე ხელით მისცემს ბედნიერებასაო“. ამის შემდეგ რამდენიმე ხანმა გაიარა, უძცროსი დაწვრილმუილდა, ცოლს სიღამაზე წაერთო, თითონაც მოუძღურდა უსაქმოებით... ფულები ნელ-ნელა შემოეჭამა, მამულიც სულ სხვის ხელში გადავიდა... სიღარიბე და გაჭირვება კარებზე მიადგა. გაჭახჭახებული სახე ნაცრის ფრთა შეეცვალა, სახე დაეძლია და სულ მუდამ ჟამს იღრინებოდა და იღანძვებოდა... ცოლიც ქინიანობდა, სწეველიდა და კრულაჟდა თავის ბედს, თავის გაჩენის დღეს. შვილებიც ფეხშიშველს და ტიტლიკანს დაუდიოდა და მუდამ ეხვეწებოდა ქმარს—წასულიყო სადმე, მიეარა მოეარნა, ეცადნა ბედი და ლუკმა ჰური შემოეტანა სახლისთვის. ამ სიტყვებსედა ქმარი ზარმაცათ იშმორებოდა, იღრიჯებოდა, მაგრამ მეტი რა ჩარა ჰქონდა—ერთს დღეს აიღო ჯოხი, დაისურა ქუდი და გაუდგა გზას.

ბეჭრი იარა, თუ ცოტა იარა, ძალე ძმის სოფელში შევიდა... მიიარა-მოიარა სოფელი და ბოლოს მძასთანაც მივიდა... უფროსი ძმა კალოზე იყო; ხელსახოცით თავწამოკრული კალოს უქცევდა და იმისი ზაწაწინა შვილები კვერებში მებმულ ცხენებსა და სარებს დაასრიალებდნენ... აუარებელი ძნა იდგა კალოს ირგვლივ... ამას ძალიან ესიამოვნა უძცროსი ძმის ნახვა, შეიზატოჟა სახლში, დაუზატოჟა მთელი სოფელი, ახვა, აჭამა, გამხიარულდა, თავისი ძმაც გაამხიარულა და ბოლოსა სთხოვა ეამბნო რამე თავისი ცხოვრების შესახებ... უძცროსმაც ეველაფერი უამ-

ბო და ბოლოს თავის ძმას ფული სთხოვა... უფროს-
მა გაკვირვებით შეჰხედა თავის ძმას, ათვაღ-ჩაათვა-
ლიერა, დააღონა, შეეცოდა და უთხრა მას: „ჩემო
ძვირფასო ძმაო! ესლა მე გროძი ფული არ მახადია,
რადგანაც გუშინ რაც კი რამ მეხადა იმითი მამული
ვიყიდე, კამეჩები შევიძატე, ცხენები, ცხვრები და ძრავა
ვალე რამ შევიძინე! შენ კი ამასა გთხოვ, ჩემო კარ-
გო, წადი აიყარე იმ სოფლიდან, წამოასხი შენი
ცოლ-შვილი ჩემთან, მე გავიჯები, შენც დამესძარე-
ბი, მამული აუარებელი მაქვს, საქონელი ძრავალი,
ერთათ ვიცხოვროთ და ჩვენც გავინაროთ და ჩვენი
ცოლშვილიცაო“... იწეინა უძცროსმა ამისთანა სი-
ტუვა, გაიბუტა, გაანჩხლდა, გალანძლა, გაათრია თა-
ვისი ძმა და უთხრა: „შენც შეგარცხინოს და შენი
მამულიცა; მე რომ მამული მდომოდა, არც გავეიდ-
დი და შენთანაც არ მოვიდოდი; მე ფული მიჭირს
და არა შენი დედულ-მამული“. სთქვა ეს, არც კი
გამოემშვიდობა ძმას და შეუსვია უკზო-უკვლოთ მარ-
ჯვნივ. გადინრა ერთი მთა, მეორე, მესამე და ძიადგა
ერთს დაბურულ ტყეს. აქ, შუა ტყეში, იდგა ერთი
ძველათ-ძველი საუდარბი, შევიდა იმ საუდარბი და დაი-
ნახა ძრავალი სატები და მათ წინ ანთებული კე-
ლანატრები. გაკვირდა და გაოცდა იგი ამ სანახაო-
ბით და დაუწყო ამ სატებს ხვეწნა-ვედრება: — „ახა
სატებო! თუ შნო და ძლიერება გაქვთ, ეს სათხოვა-
რი ამისრულეთ: ნუ მამუშავებთ, ნუ გამრჯით და ისე-
თი დიდი შემლება მომეცით, რომ ჩემი ძმის მამული
სულ ერთიანათ მე ვიყიდო, ცოლ-შვილი აუტირო,

მე მეფურათ ვიცხოვრო და ძტერს თვალები დაუყენო. თუ ამას შეძისრულებთ, ვიწამებ თქვენს ძალას, თქვენს ძლიერებას დავემორჩილები და მთელ ქვეყანას თქვენ დავემორჩილებითო“.

— ვერა, ვერა! მოესმა აქეთ-იქიდან ხმა... ვერას მოგცემთ, რადგანაც არაფრის შნო არა გაქვს და მუქთა-ხორობა გიუვარსო! წადი ისევ შენს ძმასთან, გაისარჯე, იმასთან ერთათ იმუშავე, ივაგლახე და ბედნიერებას მიახწევო!..

გაჯავრდა და გაგულიადა უძცროსი ძმა და განრისხებული სახით დაბრუნდა უკან. ერთი მთაც არა ჰქონდა გავლილი, რომ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, ჭექა-ქუხილი ატედა, მთების წვეროებს ნისლი ჩამოეფარა... აუჩქარა ფესი უძცროსმა და ერთს მთის ძირში მივიდა... შეიხედა ძაღლა და დაინახა ღრუბლებში ერთი მოხუცებული კაცი, ეავარჯენსედ დაბჯენილი და გადმოსძახა იქიდან:


— აბა, ერთს კიდევა გცდი, ბედნიერებას მოგახნიჭებ, თუძცა კი ეჭვი მაქვს, რომ შენ კარგათ მოიხმარო ეს ბედნიერებაო, სთქვა ეს, გაისხნა ცა და ციდან წამოვიდა რაღაც მხესხებერ ბჭევრიალა საგანი და ჩაუვარდა ამას ხელში... უძცროსმა აათვალია-ათვალიელრა ეს საგანი, გაუხარდა, გაიცინა და საჩქაროთ გასწია სახლისაკენ... სახლიც არც ისე შორს იყო: სადამოს ქაშს მივიდა და განარბებულმა უბიდან გამოიღო ის ბჭევიანლა ნივთი და აჩვენა თავის ცოლს... ცოლი სისარულიანგან ხეცას დაეწია, მოულოდნელმა სიძდიდრემ გააცეცა, გაახელა ეს დე-



დაკაცი და ციბრუტივით ჩამოუარა სახლსა... გამ-
 სიარულდა ქმარიც, გაქანდა-გამოქანდა და სთქვა:
 — ეტეობა ჩვენი სიძლიდრე და ბედნიერება ამ ბჭვერი-
 ალს ნივთში იქნება მიძალულიო და, ვინემ ცოლი
 შეჭვერიებდა, ქმარმა დარტყა ბჭვერიალს ცულის
 უუა და მიფშენიტ-მოფშენიტა ეს ჭვირფასი ქვა, ეს
 უმშვენიერესი თვალ-მარგალიტი...

დასსდნენ ისევ ჰირჩალა გამოვლებულნი და და-
 დარდიანებულნი, ისევ ისე ძმის შეძაცქერალნი და სო-
 ფლის მოწყალების მოიძედენი.

ალ. ნათაძე.



უცნაური მეგობარი



მეტის მეტი ცელქი და ცოცხალი ბავშვია ჩვე-
ნი შალიკო. რას არ მოიგონებს, რას არ
ჩაიდებს! ხან ცოცხალ ციქვს დაიჭერს და მოიყვანს,
ხან კურდღელს დაიძინაურებს. რამდენი იცინეს შა-
ლიკოს დებმა, როცა შალიკომ პატარა ვეპავის ბასა-
ლა მოიყვანა შინ. ბასალა გაბრახებული იყო, ცდი-
ლობდა როგორმე გამოსსლტომოდა შალიკოს ხელი-
დან, მაგრამ შალიკო არ უშვებდა. დედამ ნება მისცა
შალიკოს თავისი შავანა (ასე დაარქვა შალიკომ ვეპავს)
ცალიერ ოთახში დაემწევიდა.

შავანა ძალიან ჭკვიანი ფრინველი გამოდგა. მთე-
ლი წელიწადი ცხოვრობდა ჩვენსა და ისე შეგვეჩვია,
რომ გაფრენას არც კი ფიქრობდა. შალიკოს ხომ
ძალიერით სულ ფეხდაფეხ დასდევდა.

ვეპავი ძალე ჩვენ დიდ ძაღლს ჯილდას ისე დაუმე-
გობრდა, რომ სძირათ კისერზე დააჯდებოდა, რწვილებს
უსილაზდა და თითონვე შეექცეოდა. რა განცვიფრებაში
მოიყვანა ჩვენმა ვეპავმა ვეელანი, როდესაც ამან ძაღ-
ლივით ეეფა დაიწყო. ცხენები და ძროხები ჯერ შე-
შინებულები უგდებდენ უურს ამ შეეფარე ფრინველს,
მაგრამ ძალე ესენიც შეეჩვიენ და ერთ ერთი ცხენი,

წითელა, მალე დაუმეგობრდა კიდევ ჩვენ უვავს. როდესაც წითელა მუშაობიდან ბრუნდებოდა ხოლმე ჩვე-



ნი, შავანა შეეგებებოდა მას გზაში, ფრთებს აფართუნებდა და ერთი ამბოთ თავს დასტრიალებდა.

ჯერ საქმე კარგათ მიდიოდა, სანამ შავანამ საქათმეს არ მიაგნო. ქათმებს და ბატებს შავანა ჭირივით ეჯახვრებოდათ. ის აბრახებდა ხოლმე იმათ: ქათმებს ეჩხუბებოდა, სტაცებდა კვერცხებს ო ერთი

ორჯელ ქათმის წიწილა და ბატის ჭუკიც კი მოჰკვლავ თავისი მაგარი ნისკარტით. შალიკოს დედა ისე გაჯახვრდა შავანასე, რომ უთხრა თავისი მეგობარი სადმე შორს გადაეკარგა. შალიკომ შავანა იმ არე მარეს მოაშორა, კარგა შორს წაიუვანა და იქ დატოვა. მეორე დილას შავანა ისევ ჩვენსა გაჩნდა და ქათმებთან ერთი ალიაქოთი მოახდინა. არ ვიცოდით რა გვექნა ამ უცნაური ფრინველისთვის. მოკვლავ ცოდო იყო და არც შალიკო მოგვცემდა ნებას იმის მეგობრისათვის ხელი მიგვეკარებინა.


შალიკოს სასწავლებელში წასვლის დროც მოახ-

ლოვდა და მან გადასწევიტა თავისი შავანა ქალაქში
 თან წაეყვანა. იქ შალიკომ შავანა ზოოლოგიურ ბაღ-
 ში მიიყვანა.

როგორ უსარია სოლმე შავანას, როცა შალიკო
 მივა იმის სანახავათ. დაიწეებს სოლმე სტუნვას, ადა-
 მიანივით სიცილს და სანდისხან ეუფასაც კი. შალი-
 კოს რომ თავიდანვე ლაპარაკი ესწავლებინა თავისი
 უცნაურ მეგობრისთვის სწორეთ კაი მოლაპარაკე ვა-
 მოვიდოდა.

(ბიკოვიდან).

მანანა



ლეოს მოგონება.



I.

ზატარა ჩიტო მიუვარდა,
კძელ-შავ-კუდ-შავ-ტელაო,
ჩვენი აივნის მიღამო
ლხენით რა გააჯერაო!..

იცოდა ცაში ნავარდი,
ბუხ-კალიების ჭერაო,
ზაწა-შვილებთან ალერსი,
ბუდიდან გადმოცქერაო!..
დილა-დილაობით, როცა მზე
შემოცინებდა არესა,
წალკოტი ფრთებს ისწორებდა,
ევაჟილი ლამაზ თვალებსა,
— აიძლებოდენ ჩიტები
სრული ჭიკჭიკით, ლხენითა,
ესო-გარემოს ატკობდენ
გამოუთქმელი ენითა!..
მიუვარდა ჩვენი სტუმრები
ვსტოდი, ვცუელქობდი, ვხარობდი
ძეგობრებს ვიზატყუებდი,
ძეც მათთან ლხენით ვგალობდი!..

მოლოდინი.

II.



ოკიდა შემოდგომა და
 ხეებს დაცვივდა ფოთლები,
 ისე საბრალოთ მოსჩანდენ
 ვით უდგდ-მამო ობლები!..
 არ სჩანდენ ჩვენი სტუმრები,
 აღარც ჭიკჭიკი ისმობა,
 გარემოს ძაბა მოესხა,
 გული ნაღველით იწვოდა!..

— „დედიკო!“ — ვკითხე — „დედიკო!“
 „სადაა ჩვენი ჩიტები!“
 — გაფრინდენ, შვილო, გაფრინდენ,
 შორით მოძებნეს ბინები!..
 როს გასაფხული მოატანს,
 დათბება, გადარდებაო!..
 უცხო ქვეყნიდან ჩიტუნა,
 ისევ აქ დაბრუნდებაო!..

—
 გული დაატკბო იმედმა
 სიამით ველი გასაფხულს,
 ჩიტუნებს მივესალმები,
 მივეკებები სიხარულს!..

გელა.



ზაპი მგელი.

(იაკონური ზღაპარი).



ერთ ვიწრო ხეობაში, რომელსაც კარძემო შემორტყეული ჰქონდა თვალ უწვდენელი მთები და სადაც ყოველთვის გაჟღავნებდა კი საშიში იყო, ცხოვრობდა ერთს გამოქვაბულში ჯადოსანი რორი. იმდენათ სასარელი სანახავი იყო იგი, რომ ეველას ეშინოდა და ერიდებოდა მას. — სალსში თქმულება იყო, ვითომ ჯადოსან რორს შეეძლო გადაეცინა ადამიანი ყოველგვარ ნადირათ და ფრინველათ.

არავის არ ახსოვდა, როდის დასახლდა ის ამ ხეობაში, მხოლოდ ეველა იმ ფიქრში იყო თუ, როგორ გაემეგებინათ სასარელი ჯადოსანი რორი.

ერთხელ, როდესაც ახალგაზრდა მწუქესი იზაიკა მცხვრის ფარას ამოვებდა, უეცრივ ერთი ბატკანი დაუკარგა. იზაიკა მაშინათვე გაეშურა საძებნელათ... ის ავიდა მთის წვეროზე და დაეშვა სწორედ იმ ხეობაში, სადაც სცხოვრობდა ჯადოსანი რორი. ყოველ ნახიჯის გადადგმასუდ მას უხვდებოდენ კველები,

სულიკები, მაგრამ ის მათ უურადლებას არ აქცევდა და არც ისინი არაფერს უძავებდენ...

როდესაც იხაიკა მიუხსლოვდა ჯადოსანის გამოქვაბულს, თვითონ რორი გამოვიდა დასასვედრათ საშინელი მოღუშული სასით.

— შენ რისთვის მოსულხარ?... — შეჭყვირბ შორიდანვე ჯადოსანმა რორმა.

— პითხარი, ღვთის გულისათვის, სომ არ გინახვთ ჩემი საბრალო ბატკანი? — უთხრა იხაიკამ.

ჯადოსანმა გადინარხარა და თან თვალები ცეცხლივით აენტო.

— ის დაჭკლიჯა შავმა მკელმა!.. უთხრა რორმა — და კიდევ ბევრ მსხვერზლს მოითხოვს, რადგანაც შავი მკელი დაუძალავია!.. გესმის, თუ არა?..

— ო, მაშ თუ ეგრება, — შეჭყვირბ იხაიკამ, — მე დავსძლევი იმას!.. მე ჩემს სიცოცხლეს შეეწირავ, რომ სხვები დავინსნა იმის სიბოროტისაგან. დეე, მე დავიღუბო, — მარა სხვას მაინც მოვაშორებ ბოროტს...

— გაფრთხილდი, — უთხრა ჯადოსანმა, — შენ მასთან ვერას ვახდები!.. სჯობია არ შეებრძოლო!..

— მე ვიცი, რასაც ჩავდივარ, შენ ვერ შეძამინები!.. შესძახა იხაიკამ, — და წამოვიდა სასლში.

ამავე საღამოს იხაიკამ ცხვრის ფარა შერეკა ბოსელში და მაგრათ ჩაკეტა კარები. თვითონ წამოისხა ცხვრის ტვაზი, ტვაზითვე შეიხვია მარცხენა ხელი, მარჯვენაში დაიჭირა გალესილი ხანჯალი და გაემგზავრა შავი მკლის საძებნელათ. ის ფეს აკრეფით მიდიოდა დაბურულ ტყეში და ეოველივე ფანუნს უურს

უკვდება. უცბათ ღამის წვედიადღი გაისმა სასარკელი ღმუილი: — „უ-უ-უ-უ!...“ იზაიკა შიშმა შეიპყრო, მაგრამ მალე გული გაიმაგრე და გაემურა იქით, საიდანაც ძგლის ღმუილი მოისმოდა... ეს იყო, მართლაც შავი ძგელი, დიდი ტანისა და ცეცხლის მფრქვევ თვალებით...

— ეჩხალო!.. შეჭკვირე იზაიკამ! — მე არ მეშინიან შენი!.. დეე მე დავიღუპო, — მაგრამ შენ ძანც არ დაგინდობ.

აქ უცბათ შავი ძგელი ადამიანის სმით დაელაპარაკა იზაიკას:

— უკუნურო!.. სჯობს შევკრათ მე და შენ ჰირობა და ვიცხოვროთ მეგობრულათ, შენი უშიძარი გულით და გაბედულობით ჩვენ დავიპყრობთ მთელ ქვეყანას და ვიცხოვრებთ მეფურთ!..

მაგრამ იზაიკამ აღარ დააცალა სიტყვის დათავება, — სწრაფლ ჩასტენა ჰირში ტყავში შესვეული ხელი, და მარჯვენით კი სასიკვდილოთ ჩასცა ხანჯალი მხეცს... აქ უცბათ გაისმა ქუხილის მკზავსი გრიალი, — თითქოს დედამიწა გასკდაო, იზაიკა იქვე გულწასული წაიქცა. მხოლოდ დილით, ცისკართან ერთათ, გამოფნიხლდა, გააძრო შავი ტყავი მოკლულ ძგელს, აიკიდა ზურგზედ და გასწია ჯადოსნის სახლისაკენ იმ ფიქრით, რომ ეთქვა მისთვის ძგლის დამარცხება... მაგრამ ო! საკვირველებავ! ეოველისფერი გამოცვლილიყო წვედიადღ და საშიშ უფსკრულში... ხეობა ვვავოდს ათასგვარი თვალ წარმტაც ვვავილებით, ხეხილის ბალებიდან გამოიყურებოდენ მშვენიერი

სასახლეები. ეველგან ადამიანები მოსჩანდენ, რომელს
ნიც აღფრთოვანებულნი ეკებებოდენ გამარჯვებულ
იზაიკას.

— გაუძარჯოს იზაიკას! — უვიროდენ ისინი, —
ჩვენ განმათავისუფლებელს ბოროტ და ჯადოსან რომს
რისაგან.

მათ აივანეს იზაიკა ხელში და მიიყვანეს ერთ
დიდებულ სასახლესთან, რომლის დერეფანშიც იდგა
მშვენიერი ასული თავის მსლებლებით. ამ სანახაობით
გაკვირვებული იზაიკა დაეცა მუსლებზედ მშვე-
ნიერი ასულის წინაშე, — ქალი ახლოს მივიდა მას-
თან და უთხრა: — დიდება შენ, გულადო და ზატოსა-
ნო იზაიკა! დამძარცვებელი ბოროტ ჯადოსან რომს!
შენ დასძლიე შავი მკელი, რომლის ტყავის
ქვეშაც იმალებოდა თვითონ რომი. მას აქეთ ბევრმა
წლებმა განვლო, რაც ჩვენ ძაგან მოგვაჯადოვა, ჩვენ
გადაგვაქცია გველებათ, ხვლიკებათ და ჩვენი სახლე-
ბი კი — კლდე-ღრეთ!.. იზაიკა! შენი გულკეთილობის-
თვის შენ იქნები დღეიდან მართველი ჩვენი ქვეყნისა
და ავრეთვე ჩემი ქმარი.

მოულოდნელი ბედნიერებისაგან იზაიკამ მეტ-
ველარაფერი ვერ მოახერხა და მხოლოდ აღელვებულ-
მა წამოიძახა: — მართალია, ეველა ეს მშვენიერებაა,
მაგრამ მაინც შენანება, რომ მოკვალი მოხუცებული!..
რომ მცოდნოდა, რაში იყო საქმე — შე სხვანაირათ
მოვიქცეოდი.

— შენ არ მოგიკლავს იგი, — უთხრა მეფის ასულს.

შავი ბეჭელი.

მაშენ მხოლოდ წაართვი მას ბორბოტი თავმოყვა-
რული ძალა. აგერ ის—სასარელი ჯადოსანი რო-
რი!..

და მიუთითა ხელი ერთ ზატარა, დაღმეჭილ
მაიბუნსედ, რომელიც ოქროს ჯაჭვით ება და მშვი-
დათ ხის ქვეშ ვაშლს სჭამდა.

ვანო საათაშვილი



თავდაჯერებული
სამშვიდო მკვლევარი
არაა, რომელიც ფეხს ცნობს
თავის თვითმხედ წიფთ

ნინო და ქეთინო.



ინომ დაიწყო ტიტინი,
ნელ-ნელ მოძარბათ ენაო,
თან ცელქობს: დახტის, დაფრინავს,
როგორც ნიაფი ზენაო;

იქ მდგომი ქალი და ვაჟი
სუეველა შეაჯერაო;
ქათმები ააწიოვა
და თოვლი აამტვერაო.

დახე ამ ცელქსა გვრიტუნას!
სწვასაც გადასდო ფრენაო,
ქეთინოც აიოლია,
მორთეს ორივემ რბენაო.

შემოიარეს უბანი
ნაბიჯით არა ნელითა,
თან დაბთრევენ ციგასა
თავის ჰაწია სელითა.

ბოლოს მოვიდენ ორნივე
ერთი ხევისა პირასა,
დაღლილი გულის დელვითა
იუურებოდენ დიდხანსა.

მერმე სთქვა ნინომ: „ეხლა კი
ორივე ჩავსხდეთ შიგაო

და დავაცუროთ ფერდობსე,
ქეთო, ეს ჩვენი ციგაო“.

დასსდენ და ცურვა დაიწქეს
ჭრიაძულით და შღერითა,
შათი შემხედი ტოლები

ძარად ტკებებიან შხერითა...

გიორგი ხალაიძე.



ბებია კატო

(ქუთათურ სამოქალაქო ქალთა სკოლების მწავლებლებს.)



ყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?—იყო ერთი ბებერი ქალი, ქალი ისეთივე, როგორც სხვა ქალი-ადამიანი, მხოლოდ კატო—ბებიას დიდი, ისეთი დიდი გული ჰქონდა და ღვთისგან ბოძებული, რომ მის გულმკერდში არ გტეოდა, გარედ იწევადა.

და, რადგანაც გული ადამიანისა ბუდებ სიყვარულითა, ბებია კატოს ფრთე გულშიაც უშველებელი, დიდი, უსამსღვრო სიყვარული იყო დაბუდებული. იმას უყვარდა ყველა არსება ღვთის გაჩენილი: კაცი, ქალი, ბებერი, ნორჩი და შუათანა, გლეხი, მდიდარი, უშრო, ლამაზი, ბებიას გულში თავთავის შესაფერს ბინას ჰპოვებდნენ, მაგრამ გაცილებით ბებია კატოს ბავშვნი უყვარდა: ჰაწაწინები, უმანკოები, მომავლის კოკრათ გაჩენილები.

ოჰ, ბავშვნი! ეს მომავალნი სიამაყენი, ეს ია-ვარდნი, გულის სატრფონი ბებია კატოს მეტად უყვარდა და მთელ სიცოცხლეს მათ სინარულს და ბედნიერებას თავსა სწირავდა: სნაჟდა, სთესავდა იმათთვის კაცთ-მოყვარეობას, გულკეთილობას, კე-

თიღობილებას, სიბრალულს, გულუხვობას, სათნოებას, მართლის სიყვარულს და სხვა მრავალთა კაცთა სიკეთეს. სთესავდა, უვლიდა, ახარებდა, ამშვენებდა ამ თვისებებს და გაფაქიზებულთ, ოქროს მძივებით ასსმულთ, ატანდა ბავშვთა დილისა სიოს, მხის ბრწყინავ სსივებს, მთვარის მკრთალ შუქსა, ვეხვილთ ტებილ ფერფლთა და განაფხულის ფრინველთ სტვენა-გალობის, კარმონიას შეუდარებელს.

და მიდიოდა, იფანტებოდა ვეელა ეს ძღვენი ბავშვებისადმი მიწმეული სამსრეთაწრდილოეთ, აღმოსავლეთიდანსავლეთამდე, უვლიდა არეს მისსა მშობლიურს; მთის აქეთ-იქით, ბარში თუ მთაში და იქ დარგული იზრდებოდა, თან და თანაობით, ნელა-ნელა, მაგრამ ბეჯითად ეთვისებოდა ბაღებს მშვენებულთ და ჭეჭავდებოდა.

ბებია კატო ამ სენა-თესვაში ბედნიერობდა და სხვა რამ ჯილდო ამ ქვეყნიური არც კი იცოდა, არც კი ნატრობდა...

...მაგრამ მეუფემ ბებია კატოს ფრთები შეასწა და წარიტაცა ვოველ კუთხისკენ, აღმოსავლეთით და დასავლეთით და გაასწარა, მოამკვევინა თვისი ნათესი:

ბავშვთა კრებული ვეელგანა სცნობდა თავის ბებიას, უაღერსებდა, შესცინოდა, თავს ევლებოდა და უგალობდა მას გიმნს მშვენებულს, ციურს გალობას სათნოებისას, კაცთა შორის სიყვარულისა და ერთობისას.

ბებია კატო ნათლათ ხედავდა თავის ნათესის შედეგსა წმინდას და კარდამეტის აღტაცებით ცრემლებს

აფრქვევდა და ეს ცრემლები ძვირფას-უებრო ძარგა-
 ლიტებათ მის გულსა ფართეს უფრო და უფრო აფარ-
 თოვებდნენ, ბუდეთ დიდების და სიტკბოების ფუძეთა
 ხდიდნენ, ბებერ ბებიას, აწ დაუძღურებულს, კვლავ
 ამხსნეებდნენ, რომ დეეთესნა ძვირფასი უანა ზ სათნო-
 ების უგავილთ გრესილი კვლავ გაეკსახუნა სიოსა ფრთე-
 ბით, მხისა სხივებით და გასაფხულის ფრინველთ
 ჭიკჭიკთან შეერთებული ეძაწვილებისთვის.

კვლავ ეძინო მათთვის, რომ სიუვარული და
 სიუვარული არის ერთი, ერთად ერთი ღვთიური ძა-
 ჳა კაცთა შორის მოვლინებული და მსოლოდ სი-
 უვარული შეერთებს ძალებს გაბნეულთ და დაამკვიდ-
 რებს ქვეყნათ სამოთხეს ღვთისგან აღთქმულს და და-
 ზირებულს.

ეკ. გაბაშვილისა.





გამოცანა.

ჩემი მდინარეები, ზღვები და ტბები უწყლონი არიან. ხმელეთზე ერთი ნამცეცი მიწა არ მოიპოვება. მთები ერთ გოჯ ზედაც არ აღიან მაღლა, თუმცა რამდენიმე ვერსის სიმაღლისა არიან. ერთი ქოხიც არ არის ზედ, თუმცა მრავალქალაქებს ხედავთ. თევზი არა ვარ, მაგრამ ბადეში მომწყვდეული ვარ. პატარა ვარ, ხელშიაც კი დამიჭერთ, თუმცა მთელ ქვეყნიერებათ მთვლიან *).

ს მ ა.

(წარმოდგენილი მ. ჯელაშვილისგან)

ნიკომ შიშით თქვა: ბინა მიჭირავს,
ხალხი დიდი მყავს მომავალიო;
ძალღები აგერ იყეფებიან,
მათი ნატვრაა—უნდათ ძვალიო.

ანაგრაშა.

(მისგანვე წარმოდგენილი)

პირველსა მოვერიდებით,
როცა კი დაიზუზუნებს,
მტვერით აგვიცებს თვალებსა,
სახესა იქით გვიბრუნებს.
მეორეს — მრავალ ნაირად
გვართმევს, რომელიც ირგუნებს;
ოთხი ასოთი დაწერავს,
ვინაც იფიქრებს, იგონებს.

*) გინც ამ გამოცანას გამოიცნობს საჩუქრათ მიეცემა აკაკი წერეთლის სურათი.

ქ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი მისჯანვე)

პირველი ბალსა ამშვენებს,
 არვის ექცევა მტრულათა,
 მითივე სახლის მიდამო,
 დაგვიმთავრდება სრულათა.
 ბნელი ორმოა მეორე,
 წყალი აქვს დამალულათა;
 მესამეს ვამბობ აშუკრათ,
 ქვევრს ჰქვიან იმერულათა,
 მთელი ოსური მსხალია,
 რომ იყიდება ფულათა.

გასაწოთობი.

ოცდა ოთხ საათში აშენებული სახლი.

სამხრეთ ამერიკაში, შეერთებულ შტატების ერთ ერთ ქალაქში, საშინელის სისწრაფით, 24 საათში, ააშენეს სახლი ყოველი მოწყობილობით: სახლი გაანათეს გაზით და ელექტრონით და აგრეთვე გამოიყვანეს წყალი. გარეთ და შიგნით კედლები ლითონისა და ქვისა ააშენეს.

ქვიტირი მაგარი ცემენტისაა, სახლრავი ალუმინატისა. ამ სახლს 25 მუშა აშენებდა.

სახურავი სამ საათში დაახურეს. წყალი, გაზი და ელექტრონი ოთხ საათში მოაწყეს. ერთი წუთი არ იყო ტყუილათ დაკარგული.

ოცდა ოთხი საათის შემდეგ, სახლის პატრონი თავის ახლათ აშენებულ და მოწყობილ სახლში შევიდა და მზარეულმა, იმ წუთსვე, ახალ პლიტაზე და ახალთ-ახალ ქვაბებში სადილის მზადებას შეუდგა.

აქსენა

შარადა: ჭანარი.

ზმა: ღვინო, მამა, ლეკი, სული, ცა.

რებუსი: მელის კულიც დიდი აქვს და ხერხიც.



ს უ რ ა თ ი.

(გუძღვნი ფ. სარაძეს)



ოციმციმე ლაყვარდის ფრად
ცა აინთო... წითლად ბრწყინავს
და ტოროლა მხიარულათ
ცის სივრცეში მიმოფრინავს!..

ცელქი სიო ახმაურდა, —
დაიქროლა მთის კალთებით;
ველს გულ-მკერდი ვადუკოცნა, —
ჩაეკონა მხურვალეებით!..
ველზე გაშლილს ლამაზ იას
წასჩურჩულა მთის ზღაპარი...
შეკრთა ია, შეიშმუშნა, —
ძირს დაჰყარა ოქროს ცვარი!..
მაღლა მთიდან ჩუხჩუხითა
გადმოეშვა ნაკადული...
გარს სიმღერა შემოსძახა,
აუტოკა გრძნობით გული!..

„მთის წიაღში დავიბადე —
მოლიკლიკე ანცი შეილი..
კლდემ აკვანი დამირწია
და მაწოვა ძუძუ ტკბილი!..
ძირს ქალეზში ბალახ-ყვავილს
თავს ვაპკურებ ციურ ცვარსო,
სიცხისაგან შეწუხებულს,
გოღვისაგან ვადამწვარსო!..

ღმერთმა ყვავილთ გაუმარჯოს
და პირი-მზეს მშვენიერსო...
მათ ვუგალობ ძილის პირს და
ტკბილსა „მრავალ-ჟამიერსო!..

გ. გორგაძე.

რკინის გზის ლიანდაგი.



ვეიცარიაში, ალპიის მთის მწვერვალზე, ლიუცერნოლამ ქალაქ მილანამდე გზატკეცილია გაყვანილი. ეს გზა იმ სიმაღლეზეა, რომ მცენარე აღარ იზრდება და არწივის მეტი სხვა ფრინველები არ დაფრინავენ. ყოველ დღე ერთ იტალიანელს ენრიკოს შეხედებოდათ, რომელიც იჯდა აქ, ქვას ამტვრევდა და გზატკეცილზე ჰყრიდა. ამ მუშაობიდან ის იმდენს იღებდა, რომ თვითონ და პატარა შვილს, გაბრიელას, ჰყოფნიდა და რამდენიმე გროშს თავის ცოლს და კიდევ ორ ბავშვს უგზავნიდა.

გაბრიელა მამას შველოდა, ქვას უზიდავდა. დილაზე, ალიონზე ადგებოდნენ მამა-შვილნი, თან პურსა და

წყალს წაიღებდნენ და მთელი დღე მუშაობდნენ. გზა გრძელი იყო, სადგომებიდან კარგა დაშორებული და ამიტომ ხშირათ ღამეს იქვე ცას ქვეშ გაათევებდნენ ხოლმე. ხმელ დედამიწაზე გაწვებოდნენ, თავქვეშ თითო ლოდს ამოიდებდნენ და ისე ეძინათ. როდესაც მშრალი ჰაერი იყო, გაბრიელა ხავსს და მთის ბალახ-ბულუხს მოაგროვებდა, გზის გვერდით არხში ჩაფენდა და რბილ ლოგინს მოამზადებდა. თავზე შავი ღრუბ-

ლები და არწივები დასცქეროდნენ. ხანდისხან ნახირიდან ჩამორჩენილი ჯიხვები თავიანთ რგვალი, დიდრონი თვალებით გაკვირვებული შეჰყურებდნენ. გაბრიელა და ენრიკო ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილი იყვნენ. ქვემოთ, მთების ძირში ქალაქები და სოფლები იყო გაშენებული. ამწვანებული ხეხილბაღები და ვენახები მხიარულად გამოიყურებოდნენ. აქ კი თოვლით დაფენილი ალპის მთები სასტიკათ დასცქეროდნენ. იშვიათად, დღეში ერთხელ ან ორჯელ, ამ გზაზე ეტლი ან მთის ურემი გაივლიდა. უწინ ამ გზატკეცილზე ცხოვრება სდულდა და დიდი მოძრაობა იყო ხოლმე. ეს იყო ერთად ერთი გზა, რომელიც ჩრდილოეთ ევროპას იტალიასთან აერთებდა.

ეხლა კი ადამიანის ქკუამ და გამჭრიახობამ ალპის მთებში დიდი გვირაბი გასთხარა და რკინის გზა გაიყვანა. გზატკეცილს მაინც ყურს უგდებენ და ასწორებენ. აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც ენრიკო და გაბრიელა აქ მუშაობენ, ქვას ამტვრევენ და გზაზე ჰყრიან.

— რა კარგი იქნებოდა, — ეტყოდა ხოლმე ენრიკო თავის შვილს, — რკინის გზაზე რომ სამსახურში ჩაგვაყენებდნენ, მეტადრე გზის დარაჯათ. — მაშინ სადარაჯო სახლში დავსახლდებოდით, დედას და პატარა დაძმას მოვიყვანდით!

გაბრიელას თავისი დედა ორი წელიწადია არ უნახავს და ძალიან სწუხდა. დედა ძალიან უყვარდა, ყოველ დღე ესიზრმებოდა, ხანდისხან იმისი ხმაც ესმოდა. თავის სამშობლოს თბილ ჰაერს შეჩვეული, ამ თოვლით დაფენილ ალპის მთებში, ცის ქვეშ, მთელი ღამეები სიცივით კანკალებდა.

— აი, მამას რომ რკინის გზაზე დარაჯათ დანიშნავდნენ, ოცნებობდა გაბრიელა, — მაშინ სადარაჯოში ვიცხოვრებთ, დედაც ჩვენთან იქნება, მატარებლებიც ახლოს გაგვირბენენ. დედა წვნიანს მოგვიხარშავს და გვაჭმევს.

დიდი ხანია იმას წვნიანი არ უჭამია. აგერ ორი წელიწადია პურისა და წყლის მეტი არა უგემია რა. იშვიათად თუ თხის რძეს ეღირსება ხოლმე, ისიც მაშინ, თუ მწყემსი თხებს იმ გზაზე გარეკავს. ეხლა რა სიამოვნებით შესჭამდა ცხელ-ცხელ მაკარონს და ზედ ყავას დააყოლებდა. გაბრიელა სადარაჯო სახლით ისე გატაცებული იყო, რომ იმის ბავშვურ

ოცნებას სხვა უფრო უკეთესი ცხოვრება ვერც კი წარმოედგინა.

ბოლოს სურვილიც აუსრულდა.

ერთხელ, როცა ენრიკოს ჯამაგირი უნდა აეღო გზის ზედამხედველისაგან, წავიდა მასთან და გაბრიელაც თან წაიყვანა.

— შენ სახელზე დიდი ხანია რაღაც დაბეჭდილი ქალაღია მიღებული, უთხრა ზედამხედველმა.

ენრიკომ ჩამოართვა, გახსნა, სახე გაუბრწყინდა. გაბრიელის გული აუფანტქალდა.

— ძლივს, წამოიყვირა ენრიკომ... — ძლივს, ჩემი ვედრება იესო ქრისტემ და ღვთის მშობელ მარიამმა შეიწყნარა!

— რა იყო? ერთად ჰკითხეს გაბრიელმა და ზედამხედველმა.

— რკინის გზის დარაჯათა ვარ დანიშნული... — ეხლა კი საკუთარი ბინა მექნება!

რა სიამოვნებით და აღტაცებით მამა და შვილი წავიდნენ დანიშნულ ადგილას. იმათი სადგომი პატარა, თეთრად შეღებული სახლი იყო, ერთი ოთახი თავისი ბუხრით და გარშემო პატარა შემოღობილი ეზოთი.

ორი წლის უბინაოთ ცხოვრების შემდეგ, ეს სადარაჯო — სასახლეთ მოეჩვენათ და ის აკაციის ხე, რომელიც პატარა ბოსტანში იდგა, მთელ ბაღათ.

— ეხლა კი ჩემ ცოლ-შვილსაც დავიბარებ, — სთქვა ენრიკომ, — ის აქ ქათმებს გამოზრდის, თხასაც ვიყიდი და იმის რძეს დავლევეთ ხოლმე.

ღმერთო, რა ბედნიერებაა! თავიანთი ქათმები და თხა ეყოლებათ! გაბრიელა რა სიამოვნებით მოუვლის ყველას, თავის და-ძმასთან მხიარულათ ითამაშებს. დედას ნაზათ თავს კალთაში ჩაუდებს და იტალიის ამბებს ყურს დაუგდებს, მერე დედა წვნიანს მოუხარშავს და გემრიელათ ყველანი შეეკცევიან.

სანამ მამა დედას წერილსა სწერდა, გაბრიელა ოთახში იჯდა, ქერ ქვეშ, სადაც არც წვიმა აწუხებდა და არც ქარი უბერავდა. ყმაწვილს მეტის მეტი სიამოვნებით და ბედნიერებით სახე უღიმოდა.

— ორი დღის შემდეგ დედა შენი ამ წერილს მიიღებს, — სთქვა ენრიკომ. — ორი დღე მომზადებას მოუწდება, ორი დღე გზას, ისე რომ იმედი მაქვს, ერთი კვირის შემდეგ ყველანი ერთად ვიქნებით.

მას აქეთ გაბრიელა ყოველ დღე დედას მოელოდა. იმის წინ მატარებლები მიჰქროლავდნენ, ის გაკვირვებული და აღტაცებით შესცქეროდა. მამა, როგორც ალბიის გზა-ტყეცილზე, აქაც მთელი დღეები მუშაობდა: ხან ლიანდაგს ასუფთავებდა და ჰგვიდა, ხან ბურღებს ამაგრებდა და სწმენდა, დაგებულ რკინებს შინჯავდა და როდესაც დარწმუნდებოდა, რომ გზა უშიშარია დი რიგზეა მომზადებული, გამოვიდოდა დამშვიდებული და მხიარული მწვანე ბაიარლს გაშლიდა.

— გაფრინდი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! მიმართავდა ხოლმე ენრიკო მატარებელს. — გზა უშიშარია!

გაბრიელა მთის ურემს დაჩვეული, რომელსაც ცხენი აღმართზე ძლივს მიათრევდა, მატარებლის ჩქარ სრიალს გაკვირვებით და აღტაცებით შესცქეროდა. როგორც კი მატარებლის ხმას გაიგონებდა, კარში გამოვარდებოდა და თვალს ვერ აშორებდა. იმას მოსწონდა ორთქლ-მავალის ხრიალი, იმისი დამაყრუებელი სტვენა და წრიბინი, ის შავი ბოლი, რომელიც ამოდიოდა და შორს ჰაერში იფანტებოდა, ბორბლები, რომლებიც ისე სწრაფათ მიგორავდნენ და მგზავრები, რომელნიც საკმელიდან იყურებოდნენ. მგზავრებს როგორც თავის მახლობელ ნათესავებს ისე შესცქეროდა. თვალ წინ წარმოუდგებოდა იმათი გამოთხოვება და მხიარული შეხვედრა შვილებთან, ნათესავებთან, რომელნიც მოუთმენლათ მოელოდნენ. ის ქუდს უქნევდა მგზავრებს, მაგრამ ისინი ამ გამხდარ, ფერმკრთალ ბავშვს ვერც კი ამჩნევდნენ.

— მშვიდობით იმგზავრეთ! ყვიროდა ის ხმამაღლა — ბედნიერი მგზავრობა მოგცეთ!

დაღვა სამშაბათი, მაგრამ დედა არსადა ჩანდა. კიდევ ერთმა კვირამ გაიარა და არაფერი ამბავი არ მოსდიოდათ. ენრიკო და გაბრიელა ძალიან სწუხდნენ.

— უთუოდ რაღე მიზეზი შეემთხვავთ, რომ ასე დაიგვიანეს, — ამხნევებდა მამა შვილს. — იქნება ბარგი ბარხანის გაყიდვა ვერ მოასწრო!

მაგრამ გუნებაში კი ენრიკო გაბრიელაზე მეტათა სწუხდა. ბოლოს ველარ მოითმინა და ცოლთან დეპეშის გაგზავნა გადასწყვიტა.

— მე მახლობელ სოფელში ფერროლოში წავალ, — უთხრა შვილს, — ფქვილი და ბურღული გამოგველია, ვიყიდი. ამ ერთ საათში მგზავრის მატარებელი გამოივლის, მინამდინ მეც მოვალ და თუ ვინცობაა, ვერ მოვასწრო, შენ გამოდი და მწვანე ბაირალი ააფრიალე, გზა გაწმენდილი და თავისუფალია.

მამას ორივე ბაირალი თავისი ბუდით ქამარზე ეკიდა. შვილს როცა გამოეთხოვა, ბაირალების მიცემა დაავიწყდა და ფერროლოში გასწია.

გაბრიელა მარტო დარჩა. იმას მიანდეს მატარებელს ანიშნოს, რომ გზა თავისუფალია. მამამ მიანდო და ამ ნდობით ძალიან ამაყობდა. ის ლიანდაგზე დადიოდა, ზედ დაგებულ რკინებს დაკვირვებით შინჯავდა, ისე როგორც მამა მისი, თუმცა კი არაფერი არ ესმოდა. შემდეგ გზის გადაღმა გადავიდა და ყვავილებს ჰკრეფდა და სულ დედაზე ფიქრობდა. მთელ კონა ყვავილებს დაჰკრეფს, სახლში შეიტანს და მაგიდაზე დაახვედრებს. დედა რომ მოვა, იამება.

უცბათ საშინელი ხრიალი მოესმა, თითქოს რაღაც მოგორავდა. გაბრიელა შეკრთა და წამოვარდა, ხმაურობა შესწყდა.

— რა უნდა იყოს? — ფიქრობდა გაბრიელა და სახლისაკენ გასწია. გზაზე, სახლთან ახლოს, ზედ ლიანდაგზე ერთი უშველებელი ქვა ჩამოწოლილიყო, ეხლა მატარებელმა რომ გაიაროს და დროზე არ ვაცნობო, ამ ქვას დაეტაკება, სულ ერთიან დაიმსხვრევა და იმოდენა ხალხი დაიღუპება. ვინ იცის მამა მატარებლის მოსვლამდინ დაბრუნდება თუ არა და გზის გაწმენდას მოასწრობს? განა იმას სამსახურის დროს სადმე წასვლის ნება ჰქონდა?

მთელი თავისი ძალღონე მოიკრიფა, თავისა პაწაწინა ხელებით ქვას მივარდა და გადაგორებას ცდილობდა, მაგრამ ქვა ადგილიდან ვერ დასძრა. ეხლა რა ჰქნას? დრო მირბის!

— ღმერთო, შენ მიშველე! ბუტბუტებდა გაბრიელა. — ღვთის მშობელო, დედავ, მარიამ! რა ვქნა? უნდა უთუოდ მე-

მანქანეს ვაცნობო, რომ გზა გაფუჭებულია, მაგრამ მამამ ორივე ბაირალი თან წაიღო?

გაბრიელას თვალ წინ წარმოუდგა ის სურათი, როცა მატარებელი ქვას დაეტაკება, ღიანდაგს ასცილდება, მანქანა დაზიანდება, მთელი მატარებელი ნაკუწ-ნაკუწათ იქცევა და ნანგრევების ქვეშ საშინელი კვნესა, ყვირილი, ოხვრა ატყდება. აქეთ იქით მკვდარი და დასახიჩრებული ადამიანები ეყრებიან, ეს სულ დები, დედები, მამები და შვილები იქნებიან, რომელნიც თავიანთ ოჯახში და ნათესავებთან სიხარულით მიეჩქარებიან და იმის მაგივრათ კი გზაზე ასე საშინლათ დაიღუპებიან. ამ უბედურების მიზეზი იმისი მამაა, რომელიც თავის ნებით ფერროლოში ფქვილის საყიდელათ წავიდა.

მამას კი რაღა მოეღოს? რა პასუხს გასცემს? რითი იმართლებს თავს? რასაკვირველა, სამსახურიდან დაითხოვენ და ვაი თუ, ცხეშიაც ჩასვან.

გაბრიელას უფრო და უფრო საშიშარი ფიქრები უტრიალებდა თავში: მატარებლის დაღუპვა, ურიცხვი მკვდარი და დასახიჩრებული ხალხი, მამა უადგილოთ და ციხეში. არა, საქმე იქაძდის არ უნდა მიიყვანოს! არამც და არამც მამას არ დაღუპავს! ის მიენდო ამას და თავის მაგივრათ დასტოვა! ყოველ ღონეს იხმარს და მატარებელს უბედურებას ააცდენს, თავის დროზე შეატყობინებს და შეაჩერებს.

მაგრამ როგორ? რა მოახერხოს?

მატარებელი საათში ოთხმოცი ვერსის სისწრაფით მოჰქრიალებს. გაიქცეს, გზაზე დაუხვდეს, დაუყვიროს, მემანქანე კი ორთქლ მავალის შეჩერებას მოასწრებს?

გაბრიელა მირბის. მუხლები ეკვეთება, ოფლი წურწურით გადმოსდის, მირბის და ფიქრობს წითელი ბაირალის მაგივრათ რა ააფრიალოს, სულ ერთია ამ ვიწრო ხეობაში მატარებლის სრიალში მემანქანე იმის ყვირილს მაინც ვერ გაიგონებს. უკან სახლში რომ დაბრუნდეს და მამის წითელი პერანგი იპოვნოს და ააფრიალოს, შეიძლება მაშინ მატარებელი შესდგეს. მაგრამ გვიან არის. სახლში რომ კიდევ მივიდეს, უკან დაბრუნებას ვეღარ მოასწრობს. მამისაგან გაგონილი აქვს, რომ მანქანას და საშიშარ ადგილს შუა ასი საფენის მანძილი უნდა იყოს.

— რა ვუყო? რა ვქნა? თქრობდა ბავშვი. — რა მოვახერხო? როგორ მოვიქცე?

მირბის და ჯიბეებს იჩხრეკს. ერთ კუთხეში ცხვირსახოცი იპოვნა, მგონი წითელია! გაბრიელამ ამოიღო, გაშალა და საუბედუროთ ოდესმე წითელი ცხვირსახოცი ბევრი რეცხვისაგან გახუნებულიყო, მემანქანე ვერც კი შეამჩნევს. მზე მთას ეფარებოდა და ხეობაში ჩამობნელდა.

ბავშვი მირბის.

როგორც კი მატარებელი გამოჩნდება, ის მაინც თავის ცხვირსახოცს ააფრიალებს... თუ მემანქანე ვერ შეამჩნევს, ყვირილს მორთავს. იმის ხმაც რომ ვერ გაიგოს?

გაბრიელას ცივმა ოფლმა დაასხა.

— ღმერთო, შენ შემეწიე! ბუტბუტებს ბავშვი.

აი გვირაბიდან მატარებლის ხრიალი მოისმის. ორთქლმავალი სტვენს, ქშინავს, უფრო და უფრო ახლოვდება. აი ბნელ ნახვრეტიდან გამოძვრა. მანქანა უფრო ძლიერ კივის, და სტვენს და შავ ბოლს და ორთქლს უშვებს, თითქოს სუფთა ჰაერზე გამოსვლა გაეხარდაო.

ეხლა ამას რა შეაჩერებს? ბავშვი ცხვირსახოცს უქნევს უყვირის, მაგრამ მატარებელი თითქოს უფრო სწრაფად მორბის. გაბრიელა დარწმუნდა, რომ იმას ვერავინ ვერ ამჩნევს, გზაზე ჩამოვიდა და ლიანდაგზე გაწვა.

რასაკვირველია, იმისი პატარა უსუსური გვამი მანქანას შეაყენებს. მემანქანე მიხვდება, რომ ვიღაც გაქულიტა და ქვასთან მისვლამდის შეაჩერებს. გაბრიელას სისხლი, ცხვირსახოცზე და მთელი ქვეყნის წითელ ბაირაღებზე, უფრო აღის ფერი იქნება. კიდევ რამდენიმე წუთი და ის ცოცხალი აღარ იქნება და ენრიკო დარწმუნდება, რომ იმისმა პატარა ბიჭუნამ თავისი მოვალეობა პატიოსნათ შეასრულა!

გაბრიელამ ლიანდაგზე გაწოლილი თვალები დახუჭა და გრძნობა დაჰკარგა. გველ ვეშაპი მორბის, ცეცხლ-მფრქვეველ თვალებს აბრიალებს, სახარლათ კივის, წივის, მაგრამ ბავშვს აღარაფერი არ ესმის. რამდენიმე სტვენის შემდეგ მანქანამ სიარული მოუკლო. ის, შეუბრალებელი, უხარმახარი, მაგრამ როგორც პატარა ბავშვი ისე მორჩილია და გულ-შეწუ-

ხებულ გაბრიელას უსუსურ, მაგრამ კეთილ თავგანწირულ გვამთან შესდგა.

მემანქანე და იმის თანაშემწე გადმოხტნენ და ბავშვთან მივიდნენ. მგზავრებსაც შეეშინდათ, გადმოხტნენ მატარებლიდან და ორთქლმავალს მიუახლოვდნენ.

— რა ამბავია? რა მოხდა? კითხულობდნენ მგზავრები — უადგილო ადგილას მატარებელი რად დააყენეთ?

— კინალამ პატარა ბიჭი გავჰყლიტეთ! უპასუხა მემანქანემ!

— კარგია, რომ შორილამ შევამჩნიე და მანქანა დროზე შევაყენე.

— ლიანდაგზე რა უნდოდა?

— სულელი, უთუოდ თამაშობდა და ჩაეძინა!

— რატომ ეგრეთი ფერმკრთალია? ამისთანა ხმაურობაში რატომ არ გამოელვია?

ბავშვი ძლივს გონზე მოვიდა, თვალები გაახილა და გარშემო ხალხი დაინახა. იმან ხომ ყველა ესენი სიკვდილიდან გადაარჩინა. ბავშვი სიამოვნებით იღიმება და ჩურჩულებს: „მადლობა ღმერთსა“!

— გამოიღვიძა, გონზე მოვიდა! მოისმის ხალხში ყვირილი. გაბრიელა წამოდგა, იმის გვერდით ორთქლმავალი იდგა. მატარებლის კარები და სარკმელები ღია იყო, მგზავრები ცნობის მოყვარეობით გამოიყურებოდნენ.

— საძაგელო, სულელიო! — ყვირის ერთი მოხუცი — შენი გულისთვის მთელი მატარებელი უნდა შეეჩერებინათ!

გაბრიელამ მიიხედ-მოიხედა და თავის მახლობლათ, ერთი კაცი დაინახა, ტყავის ჩასაცმელით. მიხვდა, რომ ეს უთუოდ მემანქანეა და უთხრა:

— იქ, იქ, წინ, — ანიშნებს გაბრიელა — დიდი ქვა ჩამოვარდა და ზედ ლიანდაგზე გდია... რომ მატარებელი არ დასტაკებოდა და ამოდენა ხალხი არ დაღუპულიყო, მე გამოვიქეცი და ლიანდაგზე დავწეკი!

მემანქანემ მიიხედა იქითკენ, სადაც ბავშვმა მიუთითა და თავისი გამოცდილი და გამქრიახე თვალებით დაინახა, რომ ლიანდაგზე ერთი უზარმაზარი ქვა ეგდო და იქითკენ გაექანა, მოსამსახურების და მგზავრების შემწვობით ქვა ლი-

ანდაგიდან გადაავორა, გზა გასწმინდა, რკინები გაამაგრა და ისევ ორთქლმავალთან დაბრუნდა. გაბრიელა იღვა და ცნობის მოყვარეობით მანქანას ათვალეირებდა.

— მამაცო ბავშვო! მიმართა მემანქანემ — შენ დღეს დიდი გმირობა გამოიჩინე! — უშენოთ ჩვენ დღეს ყველანი დავიღუპებოდით.

გაბრიელა მემანქანეს შესცქერის და უკვირს, თუ მამაცს რად ეძახიან, განა სხვაც იმის ადგილას, ასე არ მოიქცეოდა?

ყველა მგზავრი თავთავის ადგილას დალაგდა, ორთქლმავალი ამოძრავდა. შეჰქნა კვილი, სტვენა, ქშენა და მატარებელი დაინძრა. მანქანას თითქოს თავისუფლება იამა, სწრაფად მირბოდა და ორთქლს აფრქვევდა. გაბრიელა დიდხანს იღვა და უყურებდა, მანამ მატარებელი მთებს არ ამოეთვარა. მერე ბავშვი მხიარულათ სახლში დაბრუნდა.

ენრიკოც ფერროლიდამ დამშვიდებული დაბრუნდა და არაფერი არ იცოდა. ცეცხლი გააჩაღა და ვახშმის მზადებას შეუდგა.

— ეხლა მე და შენ გემრიელათ ვივახშმოთ! — უთხრა გაბრიელას.

მამა რომ არ შეეწუხებინა, ბავშვი გაჩუმებული იყო და არაფერი არ უამბო. ერთი საათის შემდეგ, როდესაც მაგიდას მოუსხდნენ და უნდა ევახშმათ სახლის წინ ურემი გაჩერდა და ერთი ქალი და ორი ბავშვი გადმოხტნენ. ენრიკომ და გაბრიელამ სარკმლიდან გადმოიხედეს და უცბად კარში გამოცვიდნენ.

იტალიიდან გაბრიელას დედა მოვიდა. იმათ სიხარულს და ხვევნა კოცნას საზღვარი არა ჰქონდა.

ის ეხლა, ფიქრობდა დედა, ამ სახლის დიასახლისი იქნება, შიმშილს და გაჭირებას ბოლო მოეღება. იმას ასეთი ბედნიერება არა სჯეროდა და მეტის მეტი აღელვებით და სიხარულით ტირილი მორთო. როდესაც დედამ სადგომი დაათვალეირა და დამშვიდდა, — გაბრიელას ხელი მოჰკიდა და გულში ჩაიკრა.

— აი სწორედ შენისთანა პატარა ბიჭმა, — სთქვა მან, — ამ ერთი საათის წინათ მატარებელი უბედურებისაგან გადაარჩინა. ის რომ არ ყოფილიყო მე თქვენ ველარ ვნახამდით.

—ამბობდნენ რომ ის თავის ნებით, განგებ. ლიანდაგზე დაწვა, რომ ორთქლ-მავალი შეეჩერებინა.— მე შიშით ერთ კუთხეში მივიკუნტე და გარეთ ვერ გამოვიხედე. არ მახსოვს მახლობელ სადგურამდინ როგორ მივედი და თქვენამდინ როგორ მოვალწიე!—აი ამისთანა თავგანწირული გმირი გამოჩნდა! შენც, ჩემო გაბრიელა, სწორედ ამისთანა გამეზრდები!

მაგრამ ბავშვი დედის ნახვით ისე კმაყოფილი და ბედნიერი იყო, რომ კრინტი არ დასძრა. ყმაწვილს ეს ისე უბრალო საქმეთ მიაჩნდა, რომ ეგონა ამაზე ლაპარაკიც არა ღირდა.

ეკ. მესხი.

(ფრანგულიდან)



პირველ ყოფილი ადამიანის და ესლანდელი ველურების ყოფა ცხოვრება

ლუნკევიჩისა.

კადმოკეთებული

I.



ველა ქვეყნებში, უხსოვარი დროიდან, ველური კაცის უმთავრეს მუშაობას შეადგენს ნადირობა.

ნადირობს იგი მხეცებზე და ფრინველებზე. პირველ ყოფილ ადამიანის და ესლანდელ ველურების ყოფა ცხოვრებაშიაც ნადირობას უპირველესი ადგილი უჭირავს.

შშვენეირია ველური ნადირობის დროს. თქვენი თვალით უნდა ნახოთ და მაშინ დარწმუნდებით: როგორი სიფრთხილით ეპარება ის თავის საკბილო მხეცს, როგორი დაკვირვებით ეძებს მის კვალს, როგორ ხელოვნურათ ბაძავს მხეცების და ფრინველების ყვირილს. რომ ამ ხერხით გაიტყუოს მსხვერპლი! როგორი ზედმიწევნით იცის ამა თუ იმ მხეცის ზნეჩვეულებანი და მათი ხასიათი. რა ოსტატურათ ხზარობს იგი ქვას, ისარს, ჯოხს! ყველაფერი უნდა ნახოთ და მაშინ დარწმუნდებით, რომ ველური მეტათ დახელოვნებული მონადირეა. ის მარტო თავის გამოსაკვებათ არ ნადირობს, მას სულით და გულით უყვარს ნადირობა. მთელი დღეები შვილდისრით დახეტიალებს მინდვრებში და ტყე-ღრეებში, ეძებს საშოვარს, იგონებს ათასნაირ მოხერხებულს მახე-ხაფანგებს. ყველა ესენი მოსწონს ველურს, ართობს მის ბავშვურ ჭკუაგონებას!

სასიამოვნო სანახავია ავსტრალიელი ველური, როცა ის

თავის კეტი ჯოხით (ბუმერანგია) ებარება მთელ გროვა თუ-
თიყუშებს, როდესაც ისინი ხეზე ისვენებენ. აი მონადირემ



დაუმისნა ჯოხი, ჯოხი საშინელი
ხმაურობით გაჰქანდა ჰაერში, ეძგერა
ხეს, საშინელი ღონით დაეცა მიწა-
ზე, ისევ ახტა, ეტაკა ერთ ტოტს,
შემდეგ ეძგერა მეორეს, მესამეს, მერე
ისევ უკან დაბრუნდა და მსროლელს
შიგ ფეხებში დაუჯარდა. ნიშანი სწო-
რეთ მეტათ მარჯვეთ იყო ამოღებუ-
ლი. ამის შემდეგ რამდენიმე თუთი-
ყუში ფრთხილებდა ხის ძირში. ვე-
ლურმა აკრიფა ნანადირევი და გა-
უღდა გზას.

ახლა მას უნდა ჩაიგდოს ხელში კენგურუ. ამ მიზნით მი-
დის ის მდინარის პირათ, ჩირგვებში მუცელზე გაწვევა, ხელში
მომართული შვილდ-ისრით ან ბუმერანგით. არც დიდხანს
უნდება ლოდინი! მდინარესთან წყლის დასაღვეათ მოდიან
კენგურები. მონადირე ირჩევს ყველაზე უკეთესს, იღებს ნი-
შანში და სწრაფათ ესვრის შვილდ ისარს, მაგრამ ეხლა კი
უმტყუნა თვალმა, ვერ მოკლა კენგურუ, ის დაკოდილი გაჰ-
ქრის ქარივით, მას უკან მისდევს მონადირე. არ შორდება
ველური ნადირს, სდევნის სამი-ოთხი დღე, სანამ თავის სურ-
ვილს არ აისრულებს, არას გზით სახლში ხელ ცალიერი არ
დაბრუნდება.

სხვა და სხვა ნაირათ ნადი-
რობენ ავსტრალიელნი კენგურ-
რუზე: მთელ ჯოგს ჟივილ ხი-
ვილით ერთ ადგილზე შემორე-
კენ და იარაღის ჩხარუნით აში-
ნებენ საწყალო, მშიშარა მხე-
ცებს. მერე მათ გარს წრეს შე-
მოარტყამენ, თან და თან წრეს
ავიწროებენ და ამითი უახლოვ-
დებიან მხეცებს, ბოლოს დაუ-



შენენ კეტებს და ხოცვენ. ყველა ამას დიდი მოხერხებით და წინ დახედულობით ახერხებენ.

მოგითხრობთ აქ რამდენიმე შემთხვევას, რომელიც ახასიათებს ველურის გამჭრიახობას და სიმარდეს. სწორეთ საყურადღებოა თუ რა ზომებს ხმარობს ის, რომ შეუშინებლათ მიუპაროს ნადირს, ან მიიტყუოს იგი. აი ორი ინდოელი ველური მიიპარებიან ირმის ჯოგთან; ჯოგი მშვიდობიანათ ბალახობს ცვრიან მინდორზე; ინდოელები გამოდიან ტყიდან, ერთი მეორეს მისდევს ახლო, მიდიან დაღუნულნი, ორივეს ზურგზე ირმის ტყავი აქვთ წამოგდებული. წინ მიმავალ ველურს ცალ ხელში ირმის თავი უჭირავს, მეორეში კი ხის ტოტები, ამ ტოტებზე ის დრო გამოშვებით უხახუნებს ირმის თავს სწორეთ ისე, როგორც ცოცხალი ირმები ეხახუნებიან ხის ტოტებს; მეორე ველურს ხელში რამოდენიმე შვილდ ისრები უჭირავს მალვით, რომ ირმებმა არ მოჰკრან თვალი. ნელ-ნელა მონადირენი უახლოვდებიან ჯოგს, მოძრაობითაც ძრიელ ბაძვენ ირმებს და სრულებით შეუშინებლათ შედიან შიგ ჯოგში. მხოლოდ მაშინ გაიგებენ ირმები, რომ მოსტყუვდენ და მტრები მოყვრებათ მიიღეს. მონადირენი თავიანთი ისრებით ასე წუთი სოფელს ასალმებენ რამდენიმე დედა ირემს.

დახვთ, როგორ ატყუებს ავსტრალიელი ველური კენგურუს მონათესავეს, ვალლაბაის: იღებს ველური გრძელ ჯოხს, ზედ ქორის საფრთხეს დაურჭობს; თითონ ჩაჯდება სადმე ჩირვვში ხელში ჯოხს ატრიალებს და ქორივით გაჰკივის. შორიდან საფრთხე ისე მოჩანს, თითქო ცოცხალი ქორი დაფრინავს ჩირვვშიო. ვალლაბაი ეპარება საფრთხეს, უნდა დაიჭიროს, მიდის ახლო იმ ჩირვვთან, სადაც ველური ჩასაფრებულია და წამს ესალმება წუთი სოფელს. მარჯვე გატყორცნილი შვილდ-ისრისაგან მხეცი ეცემა მიწაზე და კვდება.

აბა ვნახოთ ახლა უფრო დახელოვნებულ მონადირეს როგორ მიჰყავს საქმე. შავკანიანი აფრიკელი ველური მიდის სანადიროთ იხვებზე. ტბაზე, ნაპირიდან ცოტა მოშორებით, დაცურავდენ მთელი გუნდი იხვებისა. მივიდა ველური ტბის ნაპირას, თავზე ჩამოცმული აქვს გოგრა, ის შეეცურდა ტბაში და გაეშურა იხვებისაკენ. ძრიელ ფრთხილათ მიცურავს, არც ხელები, არც ტანი არ სჩანს მისი, ხოლო გოგრა ნელ ნელა

წყალზე მიცურავს და ის გვიჩვენებს თუ სად არის ეხლა ეს უცნაური მონადირე. აი გოგრამ შუაში გაურბინა იხვებს და სწორეთ ეხლა მოხდა მათთვის სრულებით მოულოდნელი ამბავი: იხვები ერთი მეორეზე ჩაეშვენ წყალში და ზევით აღარ ამოვიდნენ, თითქო რაღაც უხილავმა ძალამ მოიტაცა ისინი. რა მოხდა? მონადირე თურმე იხვს სტაცებს ხელს ფეხში, ჩაითრევს წყალში და ქამარში ჩაირჭობს. ამ ნაირათ მონადირე ბლომათ იჭერს იხვებს და ბრუნდება სახლში კმაყოფილი.

კიდევ მოვიყვან აქ მშვენიერ მაგალითს ველურის სიმარჯვისას. შეფორთხებულა ველური კლდეზე, გათხლარშულა გულალმა, დაუჭერია ხელში თევზი და გარინდულა, თითქო სძინავსო. მოფრინავს თევზის მოსატაცებლათ ქორი, ან ყვავი, დაახტება თევზს, ცდილობს გამოგლიჯოს მძინარეს ხელიდან, მაგრამ იმედი უცრუვდება, ველური მარჯვე ხელის მოქნევით იჭერს ფრინველს, თავს უგრებს, აცლის ბუმბულს და იქვე უმს სჭამს.

ახლანდელი ველური, ჩვენი პირველ ყოფილი წინაპრების მსგავსათ, თავს იკვებავს, როგორც მხეცებზე ნადირობით, ისე თევზაობით. იჭერს თევზს ბადით, ანკესით, ზოგჯერ კავათ ხმარობს ფრინველების კლანჭებს, ხეების ეკლებს, ძვლებს და სხვ.—შხამიანი ბალახით თევზს წყალში სწამლავს, ესერის ისარს, ხმარობს შუბს და სხვ.

ბევრი სიმარჯვე და ხერხი სჭირდება ველურს, როცა ის გაწოლილი ნავის ძირში, ხელში შუბ-ისრებით, თვალს არ აშორებს მდინარის სიღრმეს და ათვალეირებს დიდს თევზს. როგორც რომ შენიშნავს, უჩუმრათ იღებს ნიშანში და მშვილდ ისარით სწრაფათ ჰკლავს. ის დიდ თევზებზე ნადირობს მაშხალებით ღამე, რადგან მან კარგათ იცის, რომ სინათლე იზიდავს თევზს და მისი მოკვლა ადვილათ შეიძლება.

ზოგი ერთი თემი ველურებისა, გარდა ნადირობის და თევზაობისა, ხვნა თესვასაც და საქონლის მოშენებასაც მისდევენ. მაგალითად, აფრიკაში მცხოვრებ კაფრებს, ეს უკანასკნელი დარგი სოფლის მეურნეობისა, ჩინებულათ აქვთ მოწყობილი. მათ ჰყავთ კარგი ჯიშის, დიდი რქიანი ცხოველები,

უვლიან მათ და თითონაც იკვებებიან, როგორც ხორცით, ისე მათი რძით, ასე რომ, ამათ იციან თუ რა არის მერძეობა.

ამ გვარი შრომით ცხოვრობენ ველურები, მაგრამ ხშირათ ამ ცხოვრებას არღვევს სხვა და სხვა თემებთა შორის ომი.

სხვა და სხვა თემები, ხშირად, ერთი მეორესთან ახლოს ცხოვრობენ და მათ შორის მუდამ მტრობაა გამეფებული. სულ მცირე მიზეზია საჭირო, რომ ერთმანერთში ომი ასტყდეს. რა გამოიწვევს ომს? შურის ძიება, სხვის ტყეში ნადირობა, სურვილი სხვისი ქონების ხელში ჩაგდების, უბრალო სიყვარული ყაჩაღური თავდაცემისადმი, ან სიმარჯვის გამოჩენის სურვილი, ყველა ეს უღვიძებს ველურს ომის ატეხის სურვილს, აგზნებს, აჩაღებს მის გულში მხეცურ გრძობებს, სისხლის დაღვრის წადილს.


ველურს ომი მარტო იმისთვის კი არ სწადია, რომ სხვისი ქონება ჩაიგდოს ხელში, მას დიდი სურვილი აქვს, რაც შეიძლება ზეტი ტყვე წამოასხას სახლში და ამათი შეიძინოს ბლომათ მონები, რომლებსაც ყოველ მძიმე სამუშაოს აკეთებინებენ. ტყვეთ წამოყვანილ ქალებს კი ცოლებათ ირთვენ.

არიან ზოგიერთი ისეთი თემები ველურთა შორის, რომლებმაც არ იციან მშვიდობიანი ცხოვრება, ცარცვა-გლეჯა და ომი გაუხდიათ ცხოვრების მიზნათ. მშვიდობიანი მცხოვრებნი და პატიოსანი მუშაკნი მათ ეზიზღებათ. ომით. ცარცვა-გლეჯით იკვებავენ თავს და არც სცხვენიათ თავის ხელობისა, პირიქით ამაყოფენ მითი. კაცის უმაღლესი სათნოება, მათი აზრით, არის შეუბრალებლობა, უაზრო სიმაძაყე, გაცემა და ომში მრავალ გვარი ხერხის ხმარება. მშვიდობიანი შრომა კი სამარცხვინოთ მიაჩნიათ.

დიდი ხანი არ არის, რაც აფრიკაში არსებობდა ისეთი ველურების თემი, რომლებმაც რაღაც ყაჩაღური სარწმუნოება შეჰქმნეს: მათ უმთავრეს ღმერთად მიაჩნდათ „დიდებული არწივი“, ეს მათი ღვთაება უბრძანებდა სხვა თემთან მუდამ ბრძოლას, ომს, მამაკაცების ამოჟლეტას, დედაკაცების მოტაცებას და მტრის საცხოვრებლის განადგურებას. ასეთი იყო მცნება—ღვთაება „არწივისა“ და კიდევ სისრულეში მოჰყავდათ მათ.

როცა ორ თემთა შორის ომი იწყება, ერთი მეორეს

უზავნის სირაქლემის ფრთებით შემკულ შუბს: ომის გამო-
წვევის ნიშანია. ამითი იწყება ომისთვის სამზადისი: მხედრები



სხვა და სხვა ფერად
იღებავენ ტანზე კანს,
რომ უფრო საშიში
გახდენ მტერთათვის.
შემდეგ შეიარაღდებიან
შუბებით, კეტებით და
ერთი მეორის პირდაპირ
დამწყვირდებიან; ამ
დროს გაისმის სამხედრო
საყვირი: მოპირდაპირ-
ნი ჰაერში აქნევენ კე-
ტებს, შუბებს, მხეცუ-
რი ღრიალით და აურ-
ხაურით ეტაკებიან ერ-
თმანერთს.

მაგრამ ეს საერთო ომი
არ არის—ყოველ მხე-
დარს ჰყავს თავის მო-

სირაქლემის ფრთებით შემკულა შუბი. პირდაპირე მტერი-მეო-
მარი, მასთან ომობს. რომელი მხრის მეომარიც კვდება ის
თემი დამარცხებულათ ითვლება.

ეს კარგი ჩვეულება არის! ამისთანა ველურების ომი ხან-
დისხან ჩვენ ომებზე ბევრათ ლმობიერია—აქ ნაკლები სისხლი
იღვრება.

ზოგიერთ ქვეყნის ველურებმა უფრო სასტიკი ომი იცი-
ან, მაგალითად ბრაზილიის ველურებმა: საკმარისია რომ ერთ-
მა თემმა მეორე თემის ტყეში ინადიროს, მაშინვე ასტყდება
სასტიკი ბრძოლა. პირობის ძალით, ბრძოლა უნდა დასრულ-
დეს ცალკე მეომრების კეტების დაშინებით. გამოდიან წყვილ-
წყვილათ მებრძოლნი კეტებით და დაუშენენ ამ კეტებს ერ-
თი მეორეს. აქ დედაკაცებიც იღებენ მონაწილეობას, ჩაერე-
ვიან ბრძოლაში და ერთი მეორეს თმებით ათრევენ, კბილებით
გლეჯენ, კივიან, ჩხავიან, იგინებიან, იქამდის გრძელდება ეს
ამბავი, სანამ ერთი მებრძოლთაგანი არ დარჩება დამარცხებუ-
ლი, თუ ბრძოლა დიდ ხანს გაგრძელდა, ერთმანერთს ვერ
სძლიეს, იმ შემთხვევაში ყველა მამაკაცი ჩაერევიან და ატ-

ყდება საშინელი ვაი-ვაგლახი. მთელი არე მარე ყრუვდება მათი კიჟინით, ღრიალით, შვილდ-ისრების შხუილით, წყევლა-კრულივით. ქალებს და ბავშვებს შეუბრალებლათ ქლევტენ, მაჰაკაცები ტყვეთ მიჰყავთ, საცხოვრებელს სტაცებენ, აოხრებენ. გამარჯვებულნი სიმღერით, ცეკვა-თამაშით ბრუნდებიან სახლში. ვისაც მეტი მტერი მოუკლავს ის პატივში არის. მოკლულ მტრის თავებს ახმობენ, სარებზე ჩამოაცმენ და თავის ქონის ირგვლივ მოსართავათ ამ სარებს არჰობენ.

ჩრდილოეთ ამერიკის ველურები უფრო სასტიკობას იჩენენ ომის დროს.

ომის დაწყების წინ გამოჩენილნი ინდოელების მეომარნი და საპატიო მოხუცინი იკრიბებიან და თათბირს მართავენ. ღრმათ ჩაფიქრებულნი მოხუცინი სხედან თავის დახატული და მხეცების ტყავებით შემკულ ტანისამოსში, თავზე ფრინველების ფერადი ფრთები აქვთ ჩარჰობილი, ყურებში დიდი რგოლებიანი საყურე, წელში გარჰობილი აქვთ სამხედრო ნაჯახები. სრული სიჩუმეა. გაისმის რომელიმე მოხუცის ხმა, ის არწმუნებს თავის თემს, რომ აჩქარება



სამონათ გამზადებული ინდოელი.

არ ვარგა, დიდი დაფიქრებაა საჭირო. გულადი ახალგაზრდები დელავენ, ლოდინი მოსწყინდათ, ომის წყურვილი საშინლათ აწუხებთ. იწყება გახურებული სჯა-ბასი, ბოლოს გადასწყდა ომის გამოცხადება, მოხუცებულნიც ეთანხმებიან უმრავლესობის სურვილს და შემდეგი სიტყვებით არიგებენ ომში მიშავალთ: „მელურის ხერხით და სიფრთხილით მიეპარენით მტერს, როგორც გაშმაგებული ვეფხი თავს დაეცით, თუ ნახოთ, რომ საჭიროება მოითხოვს; შავარდენივით უკანვე გამო-

ქანდით და დამარცხება აგცილდებათ!! სამხედრო სხდომა იშლება. იწყება მზადება. თემს უცხადებენ ომის დაწყებას: შუა მოედანზე სდგამენ „ომის ბოძს“, რომელზედაც სისხლივით წითელ ნაჯახს დაარქობენ. ეს არის ომის ნიშანი. მეომრები იკრიბებიან. იმართება ნადიმი, ცეკვა-თამაში, ნადიმზე, ნიშნათ მეომრების ერთგულობისა, კლავენ ძალს და სქამენ — მერე მხედრები მწყობრათ მიდიან საომრათ. ფრთხილათ მიიზარებიან. აი დანიახეს მტრის ბანაკი, მოულოდნელათ ეცემიან თავზე მხეცური ღრიალი აყრუებს არემარეს. ხანჯლები, ცულები, შუბები, ისრები ყველა ტრიალებს, ყველა უსპობს მოპირდაპირე მტერს სიცოცხლეს. აი მტერი დამარცხდა. ვაი, საბრალო სოფელო! დამარცხებულების სოფელს წაუკიდეს ცეცხლი, ავლადიდება გაიტაცეს, დედაკაცები და ბავშვები ამოხოცეს; გამარჯვებული მტერი სიმღერით, ცეკვა-თამაშით ბრუნდება შინისკენ, მრავალი ტყვე მოჰყავთ, ქამრებში გარკობილი აქვთ მოკლულების თავები თმიანათ (სკალპები). რა საუცხოვო სამკაულია!! აი დაბრუნდენ სახლში. აქ მართვენ სხვა გვარ დროს გატარებას. საწყალი ტყვეები მიაკრფს ბოძებზე და ყველანი, კაცი, ქალი, ბავშვი აფინებენ ამათ, ესვრიან ისრებს, დასცინიან. გმირულათ კვდება საწყალი ტყვე, ის არ კენესის, არ უჩივის ბედს, იტანს საშინელ წვალებას, სინანული არ იცის, თავს არ იხრის მტრის წინაშე. პირიქით, წყევლა-კრულვით, ლანძღვა-გინებით სულსა ლევს.

(შემდეგი იქნება).

რთა ნაკაშიძესი.



მტკვრის სათავე, ჭოროხი და თამარ გეგე

მეზავრის დღიურიდან

I.



მ მთებში კვლავ გამითენდა დილა, დღე მესამე. წუხელვე შევაგულიანე, ყველანი დავითანხმე—ჯერ მტკვრის სათავე, მარჯნის, წყარო უნდა ვნახოთ და მერე ოლთისისკენ გზას გაუდგეთ, მაგრამ, ის კი აღარ ვიცი, ვნახოთ, ჭოროხის ხეობაშია ც წამომყვებიან თუ არა,—მით უფრო, რო ჭოროხის სათავე და მისი შუა წელი, აკვანი ქართველთა კულტურისა, მეთექვსმეტე საუკუნეს აქეთია, ჯერაც ოსმალებითა.

ქუთრების მოლოა ვეისალი წინ გაგვიძღვა მოკლე ბილიკით არსიანის (ყანლუს) მთისკენ. ყველანი მხიარულ გუნებაზე გახლდით, ჯერ ერთი რო კარგა გამოვიძინეთ და მეორეც, მართლა რო საუცხოვო დილა დაგვიდგა—მოწმენდილი ლაქვარდი ცა, უმწიკვლო გრილი მთის ჰაერი და თანაც ამ ზვარ ადგილას მზე მაჭარივით ხუხავდა პირი სახეს.

— ეს ჰაერი კი არა, ნამდვილი შამანიურია!.. წამოიძახა ბუნების მეტყველმა,—ჰაერის სითხლეს გამო ცის სურათიც უფრო მომხიბლავია!..

მე მხარზე ხელი გადავხვიე მოლოა ვეისალს!..

— დანიელ ხახამო! ერთი, თუ რჯული გწამს, ამ მოლოას ჰკითხე: ესენი რათ გვეძახიან ჩვენ გიაურებს? ამ შეკითხვაზე მოლოას თვალები აუპრიალდა...

— დუნთან დორთ ქითაბი ვარ!.. მუსა, დოუთ, ისა, მაჰმედ... ალლა ბირ დურ, ჰამუსუმ ბირდურ!.. (ქვეყნიერე-

ბაზე ოთხი რჯული (წიგნი) და კანონი არსებობს: მოსესი, დავითისა, ქრისტესი და მაჰმადისა. ღმერთი ერთია და მისი ზორწმუნენიც ყველანი ერთნი ვართ).

— ნუ სწუხართ, ამ შემთხვევაში არც თუ ჩვენი ფანატიკოსი მღვდლები აკლებენ... არამც თუ ხალხში გაიგონებთ, ქართულ ლიტერატურაშიაც წაიკითხავთ— მაჰმადის ზორწმუნეთ ურჯულოთ აღიარებენ!.. აღელვებით შენიშნა ბუნების მეტყველება.

ხაჩატურ აღას და ჯავახელ გლექს ძრიელ გაუკვირდათ თავადის მსჯელობა.

— შე დალოცვილო, და ვისაც სული წმიდა არა სწამს ურჯულოა, მაშ რა იქნება!?

ჩვენ რამდენათმე დავითანახმეთ ეს ერთგულნი ქრისტეს მოსაენი, რო უსამართლოთ სჯიდენ, რადგან სამივე მერჯულე (მოსესი, ქრისტესი და მაჰმადისა) ერთსა და იმავე ჭეშმარიტ ღმერთს სცემენ თაყვანს, მხოლოთ იმ განსხვავებით-კი, რომ ქრისტიანები ღმერთს სამება-ერთ არსებათ ვაღიარებთ, ხოლო მაჰმადის და მოსეს რჯულით კი იგივე ჩვენი ღმერთი, ელოვა ერთარსებაა. *) ამ საკითხის გამორკვევა საკვლიოდ გადავსდეთ, რადგან ვუახლოვდებით არსიანის მთას, მტკვრის სათავეს, მარჯანსუს.

არსიანის მთა ართვინის ოლქში მდებარეობს. თვითონ მთა, მისი უმაღლესი მწვერვალი 10378 ფუტის სიმაღლეა (შავი ზრვის სიპრტყესთან შედარებით). ხოლო არსიანის მთის ქედი იწყება აჭარის მთებიდან, აბასთუმანს აქეთ, ანუ უკეთ რო ვსთქვათ, მდინარე ქობლიანის მარჯვნივ მდებარე მთიდან, ჩუბუხ-ნარინ-ბაშიდან. აქედან მიემართება სამხრეთისკენ და ასიოდ ვერსის შემდეგ ხოროსანის მთიდან მიდის სამხრეთ დასავლეთისკენ და მერე კი ისევ სამხრეთისკენ მიისწრაფის, ვიდრე ქუმრის მთამდე. ამ მთიდან არსიანს ქედი, მთა-გრებილი დასავლეთისკენ უხვევს, შედის ოსმალეთში, შემოუღლის გურ-

*) მაგალითად: მე მწ.მს მზე, მისი სითბო-სინათლე, თქვენ კი გწ მთ მზე, მაშასადავე რაშია აქ განსხვავება!? — არაფერში, თუ თქვენც დამეთანხმებით.

ჯი-ბოლოს (საქართველოს ყელს) და ღუმლი-დაღის სახელით არზერუმს ჩრდილოეთის მხრივ გაუვლის, უახლოვდება.

არზერუმის აქეთ, არსიანის მთა-გრებილს გიაურ-დაღსაც ეძახიან, მდ. ქოროხის სათავესთან (ბაიბურთის მახრავში) უერთდება შავი ზღვიდან, ტრაპიზონის მხრიდან წამოსულ შუან-დარასის მთებს, რომელნიც საქართველოს საზღვარს შეადგენენ—გაწოლილ არიან გიუმისანას და ბაიბურთის სანჯახებ შორის.

ოსმალოს საზღვრამდე არსიანის მთა-გრებილი სიგრძით ორასი ვერსია. მთელს ამ სივრცეზე, არსიანის ქედზე, მის თხემზე ტყე არ, ხარობს, მაგრამ სამაგიეროთ თვალთ უწვდენელი საბალახო, საძოვარი ადგილებია. გაუვალ ბალახთა სიმრავლეში ალაგ-ალაგ საამურათ ჰყვავიან დეკას (შქერი) ბუჩქები (*Rhododendron Caucasicum*).

ქოროხის ხეობის მხარეზე, დასავლეთის გვერდაზე, არსიანის მთა-გრებილს, მთელს მის სივრცე-სიგრძეზე, მისდევს ტყე-ჯერ სოკი იზდება გვერდებზე და მერე კი კალთებზე ყოველ ნაირი ფოთლოვანი ხე ხარობს, კარგი ტყეებია. აქეთა მხარეზე (აღმოსავლეთით), მტკვრის ხეობისკენ, თავსა და ბოლოს, კარგი ტყე არის აყრილი, ხოლო იქ სადაც აღამიანის ხელი მოხვედრია (შუა წელზე), ტყე დიდი ხანია განადგურებულია.

წელიწადში თითქმის ექვსი თვე არსიანის ქედი დათოვლილია, გაუვალი თოვლი ძევს. არსიანის მთა-გრებილს, ქართველთა ეკონომიურ არსებაში, სხვა უმთავრეს მთებთან ერთათ, პირველი ადგილი უჭირავს. თავის უზარ-მაზარი სიმაღლე-სიგანით ბუმბერაზათ გაწოლილია ორ ხეობათა შორის. იქით, დასავლეთით, ქოროხის ღრმა და კლდიანი ხეობაა, სადაც მდებიარობენ ართვინი, არტანუჯი, შავშეთი, აჭარა და სხვ. ხოლო აქეთ, აღმოსავლეთით მდებიარობს კოლა-არტანის, საიდანაც იწყება მტკვრის სათავე, მისი ხეობა—აუზები. ქოროხი აჭარას უთხრის გვერდებს და შავი ზღვისკენ თავის მტვრევით, გააფთრებული მიისწრაფის—ბათუმის ახლოს უერთდება ზღვას, ხოლო დინჯი მტკვარი აქედან კასპის ზღვისკენ მიიმართება.

სწორეთ ამ არსიანის მთის აღმოსავლეთ გვერდიდან გა-

მოდის ერთი მთა-გრეხილი (ტოტი), რომელსაც დღეს მუთულ-ჯანი ჰქვია, ხოლო რა ერქვა ქართველთა აქ ბრძანებლობის დროს, ამის ცნობა ხელთ არა გვაქვს. ეს მუთულ ჯანა მთა კალას საერისთაოში მდებიარობს.

ჩვენი ჩიჩერონი მოლლა ვეისალი ჩაგვიძღვა ამ მთის სამხრეთ გვერდზე და გვითხრა: — ბუიურ, ალა-ჯან! მარჯან-სუ ბახ ბულურ!..

მართლაც და ამ მუთულ-ჯანის მთის სამხრეთ კალთაზე, ტრახიტის კლდის ნაპრალიდან ანკარა წყარო უშველებელ ნაკადულს ამოსჩქეფს, გადმოხეთქს, რომელიც აძლევს სათავეს ჩვენ დიდებულ და მთელ კავკასიის უდიდეს მდინარეს მტკვარს.

პირველ აღტაცების შემდეგ, ყველამ მოვისურვეთ ცივი უბიწო წყაროთი განათლება, პირის დაბანვა, მაგრამ მოლლა ვეისალმა გაგვაჩერა...

— იცი, ბატონო, ე მოლლა მოგახსენებთ, არ იყოს თუ შიგ წყაროში პირი დაიბანონო.

— მაინც, რატომო, დანიელ?

— ი, თქვენ რო გუშინ მალლა მთაზე ახვედით, მაგ მთას ჰამიშ-ბაბა ჰქვიაანო. ჰო და, ბატონებო, ის მთა და ეს მარჯან-სუ წმიდა ადგილებათ გვწამსო. ამ წყაროს ჩაყოლება, ნაკადულის ღელე-მიდამო სულ წმიდა ადგილები არისო...

— რა მაგ სიტყვის პასუხია და ხედავ, დანიელ, ჩემი ქურთი თავის ჯაგლაგა ცხენით დაგვეწია... ეგ რამდენი ხურჯინები აუკილია?... შენ ერთი უბრძანე, დანიელ, მაგ ქურთს ერთი ჩემი ხურჯინი ჩამოიღოს... ვნახოთ, იქ წიგნები მაქვს და რუქაც, ვნახოთ, იქ როგორ-ლა სწერია.

— ჰეი! ოლა, ოლა, ხურჯუნ ვიათურ თქო.

— ბატონო, ამათ ოლა, ოლას ნუ ეძახით, თაკილობენ; უნდა ქირვა (ნათლია) დაუძახოთ ხოლმე..

— შენ პირს შაქარი, დანიელ! და მერე რატო აქამდს არ მასწავლე?

— ქირვა, ქირვა, ხურჯუნ ბუ აურ ოთურ ხალიჩაზედა...

გადავშალე რუქა და „პლანები“, მაგრამ ყველამ წინა. აღმდგეობა გამიწიეს, — ჯერ რა დროს წიგნებია, პური გვშიანო-

მარჯანის წყაროს ქვევით ჩავყევით და აქ ყველამ პირი დავიბანეთ, გავნათლდით, გავვრილდით, გავვაჯობდით ამ მთის წმინდა წყარომ და მგლებივით მივცვივდით ქვა-ყრილობაზე გაშლილ სუფრას, ყველამ თავ-თავისი ხურჯინი გახსნა, მაგრამ არც თუ მასპინძელს დაეკლო.

— აბა, მიირთვით, ბატონებო — გაგვიმასპინძლდა მოლლას მაგიერ დანიელა ხახამი (ჩვენი ბინის პატრონი, მამასახლისი აღარ შევაწუხებთ, ქუთაისელ ჩოგდარს გაჰყვა ზევით მთაში საქონლის საყიდელათ). დახეთ ჩვენს მასპინძელს ვიალუმ-კაი-მადი, კიტრი და თოხლოთ კვერცხიცი მიუმატებია; ეს შემწვარი ბატკანი ხო ხონთქარსაც ეკადრება..

„ახლა კი მომავლოდ ე ჩემი დავორება, დანიელო... იცი, რა გითხრა, აი აქ სწერია: თურქები ჩვენს მტკვარს კურ ანუ გურ, გუნ-ს ეძახიანო... აბა, ერთი ჰკითხე მოლლას მართალია?..

— ასე მოგახსენებთ, გიუნ თქმა არის მზე და სხვა კი არ ვიციო.

— ჰო, და ესეც მართალი უნდა იყოს, მტკვარი მართლაც რო კურთხეულია, მაღლიანი წყალია, აი აქედან დაწყებული კასპის ზღვამდე სიღის და მთელს აღმოსავლეთ საქართველოს ჰკვებავს, სიცოცხლეს ჰფენს, აქმევს, ასმევს და თან ტვირთსაც ზიდავს. ამდენ მაღლისათვის რაღა საკვირველია, ამისთანა დიდებულ მდინარეთის მზე ეწოდებინათ.

— დროა, ბატონებო, წავიდეთ ბინაზე და იქ მოგახსენებთ, გაგაცნობთ მწერლების აზრს მტკვრის შესახებ..

— რაღა ბინა გვინდა... განაგრძეთ, განაგრძეთ..

— თუ მზე არ შეგაწუხებთ, ბატონი ბრძანდებით. — მტკვარი უდიდესი მდინარეა მთელს კავკასიაში. აი ამ სათავიდან, ვიდრე ზღვამდე, 1244 ვერს მანძილს გადის და ყველა წყალი მას ერთვის.

— „ყველა წყალი მტკვარსა ერთვის, თითონ მტკვარი კასპის ზღვასა“ მომაგონა ხალხის თქმულობა ჯავახელმა გლეხმა..

— ახლა, ბატონო, და ეგ ვიღამ გაზომა, მტკვრის სიგრძე... ათას ორას და კიდევ რაედენიო?..

— 1244 ვერსი... აი რა მოკახსენოთ, 1867 წელს, მაშასადამე ჯერ მაშინ, როდესაც ეს მხარე ოსმალოს ხელში იყო, აქ ამოვიდა თბილისიდან ცნობილი სწავლული გ. ი. რადღე...

— თბილისის მუზეუმის დირექტორი?.. შემეკითხა თავადი.

— დიაღ, კავკასიის მუზეუმის დირექტორი, აი ამას აქვს ყველაზედ უკეთესათ აწერილი ჯა გაზომილი ეს ადგილები. რადღეს გამოკვლევით ეს წყარო მარჯანი მდებარაობს 6,642 ფუტის სიმაღლეზე...

— ჩვენი მასპინძლის ბინა, ეგ ადგილი ორდანიკი ქურთებისავე ნასოფლარია. მარჯანის წყარო ცოტა ქვევით რა ჩივილის, შეხვდება ჭაობიანს ვაკე ქალა-ღელეს, რომელიც უფრო პაწია ტბას ჰგავს (6500 ფუტი), აქ მარჯანის წყაროს (მტკვარს) უერთდება კიდევ რამდენიმე სხვა წყაროს ნაკადული, რომელნიც მაღალ ტიტველა მთებიდან (8500 ფუტი) სურათოდნათ ჩამოწკრიანლებენ. აქედან მტკვარი ორმოციოდ ვერსს რა გაივილის სოფ. ყაზნაფირის ახლოს ჩრდილოეთისკენ უხვევს და იმდენათ ბლომათ ივსება, რომ გაზაფხულობით, წყალდიდობას ყაზნაფირიდან ცალ-ტივებს, ფიქვის ხეებს აზიდვინებენ, — არტანს ჩააქვთ. არტანის მდებარაობა უკვე 200 ფუტს კლებულობს, დაბლაა (5843 ფუტი). თულაშვილის გამოანგარიშებით, სათავიდან არტანამდე, მტკვარი გადის 120 ვერსს, გორამდე (ქალაქი) 395 ვ., მცხეთამდე 451 ვ. თბილისამდე 470 ვ. ალაზნის შესართავამდე 726 ვერსს. ხოლო ამ სათავიდან (მარჯანის წყაროდან) კასპის ზღვამდე გავლილი აქვს სულ ათას ორას ორმოცდა ოთხი (1244) ვერსი, ჰო და, აბა დამისახელებით, ამოდენი მდინარე სხვა რომელია კავკასიაში!?

— ჩვენი რასხა! . დაიძახა ხაჩატურ აღამ...

— არაქსი მართალია დიდი მდინარეა, მაგრამ არაქსიც მტკვარს ერთვის, მტკვრის ბასტინს შეადგენს, არაქსის სათავე დევე-ბოიუქის და ბინგილ-დალის მთებში იწყება (ოსმალეთშია), სულ 750 ვერსის სიგძით მიმდინარეობს და ბოლოს მტკვარს ერთვის — მისი მთავარი მარჯვენა ტოტია.

მაშასადამე სად 1244 და სად 750!..

(შემდეგი იქნება).

ილ. ალაზნიშვილი.

ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა

(თომა ალვა ედისონი)

პატარა ალვა.



ხანგრძლივი სუსხიან ზამთრის შემდეგ გაზაფხულის მზემ გამოაშუქა და თბილი სხივებით მოჭფინა ქალაქ ნიუ-იორკის ქუჩები და იქ შეგროვილ მხიარულ ხალხს გული ღებნიით აუვსო. ის იყო გათავდა მოსისხლე ომი, რომელმაც მოუსპო სიცოცხლე ბევრ ახალგაზრდა ყმაწვილს და ახლა ყველამ თავისუფლათ ამოისუნთქა. ქალაქი ნიუ-იორკი დღეს თავის შეერთებულ შტატების განთავისუფლებას დღესასწაულობდა მძლავრი ინგლისის მფარველობისაგან.

საერთო მხიარულება და აურ-ზაური იყო ყველგან ქუჩებში და ოჯახებში... ხოლო ქალაქის დასავლეთ ნაწილში, ერთი პატარა სახლი მოწყენით და პირქუშათ გამოიყურებოდა ამ საერთო მხიარულობის დროს.

ამ პატარა სახლის მცხოვრები იყო ჯონ ედისონი, ჩამომავლობით გოლლანდიელი, ძველის ძველი აზნაური, გადმოსახლებული ამერიკაში მხოლოდ 1700 წელს. იგი დიდი მომხრე იყო ინგლისელებისა და რადგან შეერთებულ შტატებს დარჩათ გამარჯვება ის ნიუ-იორკიდან უნდა გადასახლებულიყო.

როგორც შეჰფეროდა ძველ ჩვეულებას, მან თავი მოუყარა თავის დიდ ოჯახს და როდესაც მთელი ქალაქი ღებინსა და დროს გატარებაში იყო, ეს დაუცხრომელი მოხუცი მთელი ოჯახით ორი ბარგით დატვირთული ურმით გაემგზავ-

რა იმ ადგილებში, რომლებიც კიდევ ინგლისის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა

გზა ჰქონდათ ძნელი, ყოველი გვარი დაბრკოლებით სავსე, ადგილები იყო უცნობი, მიყრუებული, მაგრამ მოხუცს არაფერი აშინებდა და ორი თვის გაჭირების და დაბრკოლების შემდეგ მიაღწიეს საწადელს — ახალ ბინას — ერიეს ტბის ჩრდილოეთ ნაპირას.

ედისონის ოჯახმა აქ მოსვენებით და მშვიდობიანათ ბევრი წლები იცხოვრა, სანამ არ მოკვდა თვითონ მოხუცი და მერე მისი უფროსი შვილი, რომელიც კარგა ხნისა იყო. ბოლოს ამ დიდი ოჯახიდან დარჩა მხოლოდ ყმაწვილი კაცი სამუელ ედისონი. მამა სახელ განთქმული და გამოჩენილი ედისონისა.

1837 წელს, როდესაც ხელ-ახლად ასტყდა ომი ინგლისის წინააღმდეგ სამუელ ედისონი, თავის ბაბუას აზრის წინააღმდეგ, მიემხრო ამხედრებულ ამერიკელებს და დიდი სიმამაცით ებრძოდა ინგლისის ჯარს. მაგრამ ამბოხება ინგლისის მართველობამ სისხლის ღვრით ჩააქრო. სამუელ ედისონი გააძევეს შორეულ ბერმუდის კუნძულებზე.

მაგრამ იგი ვერ გაჩერდა ამ ახალ ბინაზე და განიძრახა შეერთებულ შტატებში გადასვლა დიდი სიფრთხილედ და შიშის გამოვლა მოუნდა. სანამ საწადელს მიაღწევდა. მშიერ-მწყურვალი, უძილო — ბოლოს მოახერხა ინგლისის მფლობელობის გადალახვა.

რამდენიმე წლის ხეტიალის შემდეგ იგი ძლივს დასახლდა ქალაქ მაილანში, რომელიც აერთებდა ერიეს ტბას მდინარე ოგიოსთან. ეს ქალაქი ძალიან მარჯვე იყო ადგბ მიცემობისთვის, ხოლო ამ გზით შეიძლებოდა ქვა-ნახშირის წამოღება დასავლეთ ვირჯინიის მადნებიდან.

ამ ახალ ბინაზე სამუელ ედისონმა ხორბლით და ტყით დაიწყო ვაჭრობა. მისი საქმეები თანდათან კარგათ წავიდა, კაი სარგებლობას ხედავდა. აქვე შეერთო ცოლი, ერთი თავისი აღრინდელი ნაცნობი ნანსი ედლიოტი, რომლის ხელშიაც სამუელი ბედს ეწია.

ქალი მშვენიერათ აღზრდილი და განვითარებული იყო და თავისი ჰკუთით ოჯახში დიდი გავლენა ჰქონდა. გადაქარ-

ბებით არ ითქმევა, რომ სახელოვანმა გამომგონებელმა დედისაგან შეითვისა მდიდარი და გაბედული ფანჯახია, ალტროვანება.

ნამდვილი ბედნიერება შევობდა სამუელ ედისონის ოჯახში, როდესაც 11 თებერვალს, 1847 წ. დაიბადა თომა ალვა.

ქალაქ მილანას მდებარეობა მეტათ ლამაზი იყო. წამლა უწუმ გემები მიდი-მოდიოდა. ხან სკლიდენ ამ გემებს, ხან საქონლით ავსებდენ. პატარა ალვა იჯდა ხოლმე წყლის პირას მთელი საათობით და შეჰყურებდა ხალხის მისვლა-მოსვლას. ან კიდევ წავიდოდა მინდორში ყვავილების მოსაწყვეტათ. მაგრამ დედის საყვარელი თვალი არ შორდებოდა მას.

დედის სურვილი იყო შვილი თვითონ აღეზარდა, აგრეც მოხდა, მხოლოთ ცოტა განსხვავებით.

იმ დროს ქალაქში, ერიეს ტბის გასწვრივ, გაიყვანეს რკინის გზა და რასაკვირველია საქონლის გადმოტანა უფრო მარჯვე იყო რკინის გზით, ვიდრე გემებით.

ამიტომ გემების მოძრაობა შეწყდა, სამუელ ედისონის საქმეებიც უკულმა დატრიალდა. ერთ დღეს გამოჩნდა, რომ ის ისე დაზარალდა, რომ აღარა გააჩნდა რა, მისი სახლობა ულუკმო-პუროთ დარჩა. მაგრამ სამუელ ედისონი იმისთანა კაცი არ იყო, რომ დაღონებულიყო და გულ-ხელი დაეკრეფა. ის ყოველთვის გამრჯე და მუშაკი იყო. მან მაშინვე ახალი საქმე გამოიგონა და პოსტ-გურონში, მიჩიგანის შტატში, წავიდა.

მაშინ პატარა ალვა შვიდი წლისა იყო და დედამ გადასწყვიტა, რომ შვილის სწავლის დრო დადგა. ყმაწვილი ყველაფერს ადვილათ ითვისებდა, გულის ყურით უსმენდა დედას და წამ და უწუმ ჰკითხავდა თავის მასწავლებელს: როგორ, დედა, რატომ...

სხვათა შორის ყმაწვილს ძალიან უყვარდა დაკვირვება და გამოცდა. ექვსი წლისა იყო, რომ მან შეამჩნია ქათმის კვერცხიდან წიწილების გამოჩეკა. მაშინვე დედას დაეკითხა და მანაც უპასუხა: „წიწილები გამოიჩეკება კვერცხებიდან, როცა ქათამი ზედა ზისო“. რამდენიმე დღის შემდეგ პატარა ალვა სადღაც გაჰქრა. დიდხანს ეძებდენ ყმაწვილს, მაგრამ ვერ იპო-

ვეს. ბოლოს ნახეს სადღაც სათივეში, ის წიწილების გამოჩე-
კას გულ-მოდგინეთ დაჰკვირებოდა.

ეს იყო ედისონის, სხვების დაუხმარებლათ, პირველი და-
კვირება.

მამამ საქმეები ვერ გამოაწყო, ისევ ისე შევიწროებულ
მდგომარეობაში იყვენ და როდესაც პატარა ალვა 12 წლისა
შესრულდა, უნდა სამუშაოთ გასულიყო, რომ დედ-მამისთვის
ეშველა.

დიდი ვაივაგლახით იშოვა საქმე, რკინის გზაზე გაზეთის
დამტარებლათ გახადეს. ყოველ ცისმარე დღეს დილის მატა-
რებლით მიდიოდა პორტ გურონიდან დეტრუატში და კარგა
გვიანობისას ბრუნდებოდა სახლში. გზაზე ჰყიდდა არა თუ
გაზეთებს-ხილს, სასმელ წყლებს და სხვა წვრილმანს. ქალაქ
დეტრუატში რომ მივიდოდა—იყიდდა ყველაფერს სავაჭროს,
მერე შევიდოდა სტამბაში, გაზეთებს ჩაიბარებდა და წამოს-
ვლამდის ქალაქის სამკითხველოში იჯდა და წიგნებს კითხუ-
ლობდა.

ამ სამკითხველოში რამდენიმე ათასი წიგნი მოიპოვებო-
და და პატარა ალვა ფიქრობდა, რომ ყველა უნდა გადავი-
კითხოვო.

მან დაიწყო პირველ თაროდან წიგნების კითხვა და ასე
გადადიოდა ერთი თაროდან მეორესთან.

ბავშვი, რომელი წიგნიც მოხვდებოდა, ყველას კით-
ხულობდა: ფილოსოფიის შინაარსისა, სამღვთო რჯულისა თუ
მატემატიკისა -სულ ერთი იყო მისთვის, ხოლო მატემატიკის
წიგნები სულ გაუგებელი იყო მისთვის, ძალას ატანდა გაეგო, სა-
ნამ სრულებით არ მოიძულა.

სამკითხველოს გამგემ ყურადღება მიაქცია, რომ ბავში
უთავბოლოთ ხან ერთ წიგნს იღებდა ხელში და ხან მეორეს
და წიგნების ამორჩევაში დაუწყო ხელმძღვანელობა.

რკინის გზაზე ცოცხალ და გამჭრიან მეგაზეთეს ყურად-
ღება მიაქციეს და ბავშვი ყველამ შეიყვარა. რკინის გზის
უფროსები სხვას არავის აძლევდენ გაზეთის გაყიდვის ნებას
და ამას შიგ მატარებელშიაც მისცეს საკუთრათ ერთი კუნჭული.
ცამეტი წლის ბავშმა გაიმართა აქ თავისი ლაბორატორია და
ჰიმნურ გამოკვლევებს ახდენდა. სწორეთ სანახავი იყო პატა-

რა ალვას კუნტული. ერთ მხარეს ეყარა გაზეთები, ლიმონადის ბოთლები, ხილი, კონფეტების ყუთები, მეორე მხარეზე კი მაგიდაზე ედგა რაღაც უცნაური იარაღები, ბოთლები სხვა და სხვა ფერი სითხით, ვინ იცის სად ნაშოვნია.

მთელი დღეები პატარა ალვა ატარებდა დროს ან სამკითხველოში და ან თავის პატარა ლაბორატორიაში. რკინის გზის მოსამსახურენი ეძახდნენ ალვას „პატარა პროფესორს“ მაგრამ პატარა პროფესორი არ ივიწყებდა ნაკისრ საქმეს და მუყაითად ასრულებდა თავის მოვალეობას. ყოველ დღე ორასზე მეტს გაზეთს ჰყიდდა. ზოგჯერ მეტ გაზეთს თხოულობდნენ მაგრამ რომ მიხვედროდა როდის მეტს იყიდდნენ, მაშინ ერთი ორად წამოიღებდა გასაყიდათ.

ბევრი დაკვირვების შემდეგ ყმაწვილმა შეამჩნია რომ იმ დღეებში, როცა ომის ამბავი იქნებოდა დაბეჭდილი, გაზეთი მეტი იყიდებოდა. სწორეთ ამ დროს ჩრდილოეთ და დასავლეთ შტატებთა შორის ომი იყო და ყველიანი გაცხარებული ადევნებდნენ ამ ომს ყურს.

ერთხელ პატარა ალვამ წაიკითხა რედაქციაში ახლათ მიღებული ამბავი სხვილი ასოებით დაბეჭდილი, რომ ბრძოლის ველზე ორმოცდა ათი ათასი დაჭრილი და მკვდარიაო. მაშინვე მას თავში გაუელვა აზრმა, რომ შეიძლება ამ ამბით ისარგებლოს თუ ხალხი ადრევე მატარებელში ამ ამბავს მიჰყევს ყურადღებასო. მაშინვე გაექანა ტელეგრაფის სადგურზე და თავის ნაცნობ ტელეგრაფისტს სთხოვა, რომ საცა კი ეს ჰყიდის გაზეთს ყველგან შეეტყობინებინა მოკლე ტელეგრამით მომხდარი ბრძოლა და ეთხოვნა საჩენ ადგილას ეს ცნობა გამოეყინათ და სამაგიეროთ ბავში დაჰპირდა მთელი წლის განმავლობაში უფასოთ მოგცემ გაზეთსო. ტელეგრაფისტი და თანხმდა და ედისონი საჩქაროთ გაექანა გაზეთების გამოსართმევათ.

(შემდეგი იქნება)

